პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 61 (12877)

პარასკევი, 13 მარტი, 1964 წ.

ფასი 2 კაპ.

დღეს ჩვენს ნომერშია:

- ☐ გაზაფხული უხმობს მთესველს
- ☐ მკითხველი გვთავაზობს, გვირჩევს, ამხილებს
- ☐ მსოფლიო ამ დღეებში
- ☐ სიცოცხლის საიდუმლოებანი

მომხმარებელმა რომ თქვას — კარგია!

უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკაში მკვეთრად გაიზარდა სახალხო მოხმარების საგნების წარმოება. საკმარისია ითქვას, რომ მარტო შარშან წარმოებაში დაინერგა 500-ზე მეტი ახალი სახეობის, მოდელისა და ფასონის საფეიქრო, ტრიკოტაჟის და ფეხსაცმლის ნაწარმი.

რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა მკვეთრად გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი. მინიმუმამდე დაიყვანეს წუნით გამოწვეული ზარალი, მტკიცედ დაადგნენ რენტაბელური მუშაობის გზას, და მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია საწყობებში კი არ ფუჩდება, პირიქით, მაღაზიის თაროებზე ღამის გათევასაც ვერ ასწრებს. ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნიან თბილისის მეშვიდე სამკერვალო და პირველი სატრიკოტაჟო ფაბრიკები, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი.

ამ საწარმოებში საუკეთესო პროდუქციის გამოშვებისათვის წარმატება თვითდინებით როდი მოსულა. პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელობა დაუცხრომლად უნერგავენ მუშებს, ოსტატებს, ინჟინრებს მშობლიური ფაბრიკის ღირსებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას, ახალისებენ მათ შემოქმედებით ინიციატივას, აქტიურად უჭერენ მხარს ყოველ ახალს, მოწინავეს. მუშათა კრებებზე ხშირად განიხილავენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გზებს, კიცხავენ დამნაშავეებს. კვალიფიციური მუშები ხალისით ეხმარებიან ნაკლებად მომზადებულ ამხანაგებს, გადასცემენ მათ თავიანთ გამოცდილებას. ასეთი მუშაობის შედეგია ის, რომ აღნიშნულ საწარმოებში, რეკლამაციები, საჩივრები პროდუქციის ცუდი ხარისხის გამო მინიმუმამდე შემცირდა.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ საწარმოთა რიცხვი ძალზე მცირეა. ფაბრიკების უმეტესობა ჯერ კიდევ დაბალი ხარისხის, მოძველებული ფასონის პროდუქციას უშვებს.

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის რეზოლუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ბრძოლა პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის. არ შეიძლება ვზრუნავდეთ მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის, აგრეთვე საჭიროა ბრძოლა ხარისხისათვის, საწარმოს მარკისათვის. ეს უმთავრესად ეხება იმ საწარმოებს, რომლებიც უშვებენ ქსოვილებს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ტრიკოტაჟს, ავეჯსა და ფართო მოხმარების სხვა საქონელს. ცნობილია, რომ რესპუბლიკის ბაზებსა და სავაჭრო ქსელში დიდი რაოდენობით არის ჩაწოლილი გაუსაღებელი საქონელი, რომელზეც არ არის მოსახლეობის მოთხოვნილება.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელნი კვლავაც განაგრძობენ დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას, არ იცავენ ასორტიმენტის დავალებებს. არის პროდუქციის ხარისხიანობის ხელოვნურად აწევის შემთხვევები. ამის შედეგად ეს საწარმოები დიდი რაოდენობით იღებენ რეკლამაციებს და სახელმწიფოს ხარჯზე იხდიან ჯარიმების მნიშვნელოვან თანხას.

ამის მკაფიო დადასტურებაა ის, რომ შარშან „თბილფეხსაცმელვაჭრობამ“ რესპუბლიკის ფეხსაცმლის საწარმოებს მაღალი ხარისხიდან დაბალ ხარისხში გადაყვანის გამო მარტო ჯარიმის სახით წარუდგინა 24.129 მანეთის სარჩელი. ამას თუ დავუმატებთ სხვა რესპუბლიკებიდან და ცალკეული მაღაზიებიდან მიღებულ ჯარიმებს, კიდევ უფრო მძიმედ წარმოგვიდგება წუნის ტვირთი. მიუხედავად ამისა, ფეხსაცმლის ზოგიერთმა საწარმომ ჯერ კიდევ ვერ გააკეთა სათანადო დასკვნა, და მიმდინარე წელსაც განაგრძობს წუნდებული პროდუქციის გამოშვებას.

თბილისის ფეხსაცმლის საწარმოთა გაერთიანება „ისანმა“ წელს იანვარ-თებერვალში (ანგარიში № 21 და 125) „თბილფეხსაცმელვაჭრობას“ პირველი ხარისხის იარლიყით სარეალიზაციოდ გაუგზავნა ქალის თბილი ყელიანი ფეხსაცმელი. შემოწმების შედეგად 77 პროცენტი გადაყვანილ იქნა პირველი ხარისხიდან მესამე ხარისხში. ფეხსაცმლის საწარმოთა გაერთიანება „ისანის“ პირველი ფილიალი იმდენად „დახელოვნდა“ წუნის კეთებაში, რომ მის მიერ მაღაზიებში გაგზავნილი ფეხსაცმელი, როგორც მოხმარებისათვის უვარგისი, ხშირად უკანვე უბრუნდებათ. მაგალითად, ფეხსაცმლის პირველმა მაღაზიამ წელს იანვარსა და თებერვალში სპეციალური აქტით საწარმოს უკან დაუბრუნა 169 წყვილი საბავშვო ფეხსაცმელი.

უხარისხო ფეხსაცმლის გამოშვებას განაგრძობს ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი. „თბილფეხსაცმელვაჭრობამ“ (ანგარიში № 1005) მიღებული 480 წყვილი წაღიდან დაბალ ხარისხში გადაიყვანა 120 წყვილი, ანუ 25 პროცენტი. იმავე კომბინატიდან (ანგარიში № 1011) მიღებული 1.264 წყვილი წაღიდან დაბალ ხარისხში გადაყვანილ იქნა 26 პროცენტი.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები იმას მოწმობს, რომ აღნიშნულ საწარმოებში პროდუქციის ხარისხისათვის ზრუნვა თავმინებებულია, კონტროლიორები უმწეობას იჩენენ.

ლამაზ, მოხდენილ ნაწარმს ვერც ზოგიერთი სამკერვალო ფაბრიკა დაიკვეხნის. აქაც სერიოზული ნაკლია ტანსაცმლის კონსტრუირების, მოდელირებისა და შეკერვის ტექნოლოგიაში. ჩვენი სამკერვალო ფაბრიკები ვერ იქნა და ვერ დაეუფლნენ შეკერვის გაუმჯობესებულ ტექნოლოგიას. სწორედ ამის შედეგია ის, რომ მაღაზიები სავსეა ტანსაცმლით, მაგრამ მომხმარებელი დაეძებს თავის სარგო, თანამედროვე მოდელის, ლამაზად შეკერილ პალტოს, კოსტიუმს და სხვა ასორტიმენტის შეკერილ ნაწარმს.

სამკერვალო ფაბრიკები სათანადო ყურადღებას რომ არ აქცევენ ხარისხს, ტყუილად ჰყავთ კონტროლიორების გაბერილი შტატები, ამაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტი: „თბილტანსაცმელვაჭრობამ“ 1963 წელს პირველი ხარისხის იარლიყით მიღებული პროდუქციის 141.302 ერთეული შეამოწმა. აქედან დაბალ ხარისხში გადაიყვანეს 6.366 ერთეული, ხოლო 12.654 ერთეული უკან დაუბრუნდათ საწარმოებს, როგორც მოხმარებისათვის უვარგისი. წუნის კეთებაში ზოგიერთმა საწარმომ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი. სოხუმის № 11 სამკერვალო ფაბრიკამ „თბილტანსაცმელვაჭრობას“ პირველი ხარისხის იარლიყით გამოუგზავნა 273 ერთეული სამუშაო ხალათი. შემოწმებით გამოირკვა, რომ აღნიშნული პროდუქცია მთლიანად უვარგისი იყო მოხმარებისთვის და წარმოებას უკან დაუბრუნდა. წუნის მკეთებელთა შორის ასევე „თავი ისახელა“ თბილისის № 3 სამკერვალო ფაბრიკამ. 1.649 ცალი მამაკაცის ხალათი პირველი ხარისხის იარლიყით უვარგისი გამოდგა და ფაბრიკას მთლიანად დაუბრუნდა.

საქმეს დიდად უშლის ხელს ის გარემოება, რომ ჭიანურდება თბილისის მოდელების სახლის მიერ შექმნილი მოდელების წარმოებაში ჩაშვება. მაგალითად, სახლის მიერ შექმნილ მოდელებს ყოველთვიურად და კვარტალურად განიხილავს სამხატვრო საბჭო, რომლის სხდომას მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს, ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლებიც ესწრებიან, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ მოდელების წარმოებაში ჩაშვება ხდება მხოლოდ წლის ბოლოს. გამოდის, რომ შექმნილი მოდელი წარმოებაში ხვდება ერთი ან ერთნახევარი წლის შემდეგ. მაგალითად, 1962 წელს შექმნილი 381 მოდელის წარმოებაში ჩაშვება ძლივს დაამთავრეს 1963 წელს.

ვაჭრობისა და წარმოების მუშაკები ასეთი „ოპერატიული“ მუშაობით მომხმარებელთა გულს, ცხადია, ვერ მოიგებენ.

ხარისხისადმი გულგრილი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ამგვარი ფაქტები სერიოზულ ზიანს აყენებს სახელმწიფო ინტერესებს, მომხმარებელს. საწარმოთა ხელმძღვანელები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ ზრუნვა პროდუქციის ხარისხისათვის, უზრუნველყონ ახალი მოდელების დროულად ჩაშვება წარმოებაში, ტექნოლოგიის ზუსტი და განუხრელი დაცვა. საჭიროა ავამაღლოთ ტექნიკური კონტროლის როლი წარმოებაში, ამ საქმეში ჩავაბათ გამოცდილი, კვალიფიციური კადრები. მუშაობა ისე უნდა მოვაწყოთ, რომ დღითიდღე მაღლდებოდეს ყველა მუშის ოსტატობა, ტექნიკური ცოდნა. ამავე დროს საჭიროა შეიქმნას შეუწყნარებლობის ვითარება იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ვინც სახელს უტეხს საფაბრიკო მარკის ღირსებას.

ჩვენი საწარმოები შეიარაღებული არიან უახლესი ტექნიკით, ჰყავთ მაღალკვალიფიციური მუშები, აქვთ ყველა საშუალება იმისათვის, რომ გამოუშვან ისეთი ხარისხის პროდუქცია, რომელიც საწყობებში კი არ ჩაწვება, არამედ მომხმარებელი წაიღებს და იტყვის, ჩვენი ფაბრიკისაა, კარგიაო.

ლენინურ ვახტზე

კომუნისტური შრომის საწარმოში

თბილისის კერამიკული კომბინატის (დირექტორი ვ. ურუშაძე) კოლექტივს, რომელმაც შვიდწლედის ვადამდე განაღდების საქმეში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა, შარშან კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო წოდება მიენიჭა. საწარმოს კოლექტივი ამ მაღალ წოდებას თვალისჩინივით უფრთხილდება და საწარმოო ფართობის გაუდიდებლად სისტემატურად ზრდის პროდუქციის გამომუშავებას, აუმჯობესებს მის ხარისხს, ამაღლებს წარმოების კულტურას და კიდევ უფრო გაბედულად მიიწევს წინ, შვიდწლედის ახალი ზღუდეების დასაპყრობად.

კერამიკოსებმა ორი თვის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 105,2 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 207 კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები, 800 ცალი ნახევრად ფაიფურის სანტექნიკური მოწყობილობა და 26 ათასი მანეთის მხატვრული კერამიკული ჭურჭელი. მანქანა-დანადგარების მაქსიმალური გამოყენებით, შრომის უფრო გონივრულად მოწყობით შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3,1 პროცენტით აამაღლეს.

წარმოებაში ბევრი ჰყავთ მოწინავე ადამიანები, მაგრამ კომუნისტური შრომის ბრიგადებს, რომლებსაც ვ. კასრელიშვილი და გ. გოგიაშვილი უძღვებიან, ვერავინ შეედრება. მათი ყოველდღიური დავალების შესრულება 120 პროცენტს აჭარბებს და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას იძლევიან. კომუნისტური შრომის ნამდვილი შუქურაა მასის დამამზადებელი ვ. კასპიშვილი, რომელიც დავალებას სისტემატურად ორმაგად ასრულებს.

საამქროებს შორის დაწინაურდა მხატვრული კერამიკული ჭურჭლის საამქრო, რომელსაც ვ. ბახტაძე ხელმძღვანელობს. საამქრომ ორი თვის გეგმა 130 პროცენტით გაანაღდა და მხოლოდ პირველი ხარისხის ჭურჭელი გამოუშვა.

მოდის პირველი ხარისხის მარგანეცი

ჭიათურა. (საკ. კორ.). დიდი ლენინის დაბადების 94 წლისთავის ღირსშესანიშნავად თავდადებულად შრომობენ ჭიათურელი მაღაროელები, რომლებიც ნიკოპოლელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან.

განსაკუთრებით გააუმჯობესეს მუშაობა ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის, ახალი ითხვისის მაღაროთა კოლექტივებმა. მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს თებერვლისა და მარტის პირველი დეკადის დავალებები, საგრძნობლად გაადიდეს პირველი ხარისხის მარგანეცის დამზადება, აამაღლეს შრომის ნაყოფიერება.

პირველხარისხოვანი კონცენტრატების გადიდებაში დიდი წვლილი შეაქვთ გამამდიდრებელი ფაბრიკების კოლექტივებს. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მადნის—პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი ძვირფას პროდუქციას შეუფერხებლად უგზავნის ქიმიური მრეწველობის ქარხნებს.

შეასრულეს წლიური გეგმა

ფოთი. მეთევზეობის კოლმეურნეობა „კოლხიდის“ კოლექტივმა ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ლენინის დაბადების დღის აღსანიშნავად. მეთევზეებმა უკვე მოიპოვეს დიდი შრომითი გამარჯვება. თევზის ჭერის წლიური გეგმა 2 მარტისათვის 114 პროცენტით შეასრულეს.

წარმატებით აღფრთოვანებულმა მეთევზეებმა ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრეს და წარმატებით იბრძვიან მისი განაღდებისათვის.

გეგმის გადამეტებით

ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის შუშის ქარხნის კოლექტივმა ორი თვის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 111 პროცენტით შეასრულა, ხოლო ნატურპროდუქციისა — 111,9 პროცენტით და გეგმის გადამეტებით 772 ათასი ბოთლი გამოუშვა.

დავალება განაღდებულია

☐ **თბილისის** თამბაქოს № 1 ფაბრიკის კოლექტივმა ვადაზე ადრე შეასრულა ორი თვის საწარმოო დავალება და გეგმის გადამეტებით 4 მილიონი ცალი პაპიროსის ნახევარფაბრიკატები გამოუშვა.

☐ **საავეჯო**-საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ № 5 ფილიალის კოლექტივმა ვადაზე სამი დღით ადრე 113 პროცენტით შეასრულა ორი თვის დავალება და სამშობლოს გეგმის გადამეტებით 10 ათასი მანეთის პროდუქცია მისცა.

ა. ი. მიქოიანი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 11 მარტი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა, რომელიც აქ იმყოფება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოტო გროტევოლის დაბადების 70 წლისთავის გამო, დღეს ნაშუადღევს იმოგზაურა ქალაქში. იგი გაეცნო ახალმშენებლობებს კარლმარქსალეაზე, ესაუბრა ბერლინელებს, რომლებიც გულთბილად მიესალმებოდნენ მას.

შემდეგ ა. ი. მიქოიანი სტუმრად იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მესაზღვრეებთან.

საპატიო სტუმართა წიგნში ა. ი. მიქოიანმა ჩაწერა: „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარი დასავლეთ ბერლინთან — ზღუდეა, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს იცავს ძირგამომთხრელი საქმიანობისაგან.

გულითადად მივესალმები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც მშვიდობის საპატიო ვახტზე დგანან სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის დასავლეთ საზღვრებზე, საიმედოთ იცავენ თავიანთი რესპუბლიკის მშვიდობას მილიტარისტთა და რევანშისტთა განუწყვეტელი პროვოკაციებისაგან დასავლეთ ბერლინის ტერიტორიიდან.

ძვირფასო მეგობრებო! გისურვებთ შემდგომშიც წარმატებით იცავდეთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის — გერმანიის ისტორიაში მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფოს საზღვრებს!“.

შემდეგ ა. ი. მიქოიანი ეწვია ფრიდრიხშტრასეს საკონტროლო-გასაშვებ პუნქტს და საზღვრის უბანს იერუსალიმერშტრასეზე.

ა. ი. მიქოიანს მოგზაურობაში ახლდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის საოლქო ხელმძღვანელობის პირველი მდივანი პ. ფერნერი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. აბუში.

ბერლინი, 12 მარტი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი დღეს ბერლინის საკისრების ქარხანას ეწვია.

ქარხნის მუშები გულითადად შეხვდნენ ძვირფას საბჭოთა სტუმარს.

საწარმოს დათვალიერების შემდეგ ქარხნის კლუბში გაიმართა მიტინგი, რომელზედაც სიტყვები წარმოთქვეს ქარხნის დირექტორმა კ. ვინკლერმა, ა. ი. მიქოიანმა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა პ. ფერნერმა.

მიტინგი გადაიქცა გერმანელი და საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის დემონსტრაციად.

დარბაზობა კიევში

ტ. გ. შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავის გამო

კიევი, 12 მარტი (საკდესი). უკრაინის სს რესპუბლიკის მთავრობამ 11 მარტს მარიამის სასახლეში დარბაზობა გამართა დიდი პოეტისა და მხატვრის, რევოლუციონერ-დემოკრატის ტ. გ. შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი, უკრაინის სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. პ. კაზანეცი, უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. ს. კოროტჩენკო და უკრაინის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, მთავრობის შევჩენკოს საიუბილეო რესპუბლიკური კომიტეტის წევრები; უკრაინის სს რესპუბლიკის მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები და სხვები.

დარბაზობაზე იყვნენ სტუმრები, რომლებიც ჩამოვიდნენ ტ. გ. შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე.

კვიპროსელი სტუმრები სამშობლოში გაემგზავრნენ

მოსკოვი, 12 მარტი. (საკდესი). ერთ კვირას იმყოფებოდნენ საბჭოთა კავშირში კვიპროსელი რესპუბლიკის სტუმრები, რომლებსაც მეთაურობდა კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ანდრიას არაუზოსი. დღეს თვითმფრინავ „ილ-18-ით“ ისინი სამშობლოში გაემგზავრნენ.

— სავსებით კმაყოფილი ვარ საბჭოთა კავშირში ჩვენი ვიზიტის შედეგებით, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ა. არაუზოსმა — მე მეტად კონსტრუქტიული საუბარი მქონდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვთან, საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ა. გრომიკოსა და საგარეო ვაჭრობის მინისტრ ნ. ს. პატოლიჩევთან. საუბრის დროს შევეხეთ საბჭოთა კავშირ-კვიპროსის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებს.

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ვაჭრობა კვიპროსის რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ყოველწლიურად იზრდება. სავაჭრო შეთანხმება წარმატებით სრულდება. ჩვენ განზრახული გვაქვს უფრო გავაფართოოთ ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან, თქვა მინისტრმა.

„ცოდნის“ გამგეობის პლენუმი

მოსკოვი, 12 მარტი. (საკდესის კორ.). დღეს მოსკოვში მუშაობა დაიწყო სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის VIII პლენუმმა. პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ვ. ა. კირილინმა.

მოხსენება „საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციათა მუშაობის შესახებ სოფლის მოსახლეობაში“ წაიკითხა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ნ. ზაიჩიკოვმა.

პლენუმი გაგრძელდება ორ დღეს.

ჩვენს დიად სამშობლოში

„თოლია“ და „შევარდენი“ ჩუვაშეთში

ჩებოქსარი, 11 მარტი. (საკდესი). ჩუვაშეთში სამ დღეს იყვნენ სტუმრად მშობლებთან და მეგობრებთან „კოსმონავტი ცოლ-ქმარი“ — კოსმონავტი მფრინავები ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა და ა. გ. ნიკოლაევი. ისინი შეხვდნენ შორშელის — ანდრიან ნიკოლაევის მშობლიური სოფლის კოლმეურნეებს, იყვნენ ჩებოქსარის ბამბეულის კომბინატსა და სხვა საწარმოებში.

კოსმონავტთა პატივსაცემად ჩებოქსარში გაიმართა საღამო, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

მ. ი. ლერმონტოვის დაბადების 150 წლისთავისათვის

პიატიგორსკი, 11 მარტი (საკდესის კორ.). მიმდინარე წლის ოქტომბერში სრულდება დიდი რუსი პოეტის მიხეილ იურის ძე ლერმონტოვის დაბადების 150 წლისთავი. პიატიგორსკის მუზეუმში — „ლერმონტოვის სახლში“ მიმდინარეობს მზადება ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის.

მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის პ. ე. სელეგეის მოხსენებით „ლერმონტოვი და ჩვენი თანამედროვეობა“ აქ დაიწყო ლერმონტოვის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლექცია-მოხსენებანი. „ლერმონტოვის საღამოებში“ მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების ლიტერატურათმცოდნეები. ისინი ლექცია-მოხსენებებს წაიკითხავენ კავკასიის მინერალური წყლების საწარმოებში, დაწესებულებებსა და კურორტების ჯანმრთელობის კერებში. ლერმონტოვის საღამოების მოსაწყობად მუზეუმის მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი მიემგზავრება სტავროპოლის მხარის სტანიცებსა და სოფლებში.

სურათზე: რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის საცდელი წარმოების საგრეხი საამქროს ქვეოსტატი გ. კვირკველია (მარჯვნიდან მეორე) ესაუბრება მგრეხავებს ლ. ბუცხრიკიძეს, ყ. ოზბეთელაშვილს და ნ. გორშკოვას გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გაზაფხული მინდვრად

მოწინავე მექანიზატორები

თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოში შემავალ სოფელ ბორბალოს კოლმეურნეობებში სახიმინდედ უკვე მოხნულია 300 ჰექტარზე მეტი. საკმაო რაოდენობით აქვთ თესლი. მექანიზატორები ვ. ყელბერაშვილი, ა. ბუხურაული, დ. ჯანგებაშვილი და გ. ჯანგებაშვილი ენერგიასა და ცოდნას არ იშურებენ, რომ დროულად და აგროვადებში დაამთავრონ საგაზაფხულო ხვნა. („კომ“. კორ.).

პირველ დღეებში

დადგა გაზაფხულის ცხოველმყოფელი სითბო. ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს ბარაქიან მიწას ოხშივარი ასდის. მხვნელ-მთესველებს ტექნიკა და თესლი მომზადებული აქვთ. მექანიზატორები დედამიწას გულმკერდს უხსნიან, რომ შვიდწლედის მეექვსე წელს უხვი მოსავალი მიიღონ. ტრაქტორისტმა **შ. ჩიქოვანმა** გაზაფხულის პირველ დღეს დავალება 140 პროცენტით გაანაღდა. ასევე საუკეთესოდ შრომობს მექანიზატორი **ი. შამათავა**. კოლმეურნეობამ საგაზაფხულოდ მოხნა 110 ჰექტარზე მეტი.

სოფელ ნაფიჩხოვოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრები 300 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 30 ცენტნერი სიმინდის მისაღებად იბრძვიან ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 22 ცენტნერისა. მარტო გაზაფხულის ორ დღეში 30 ჰექტარზე მეტი მოხნეს. საყანე ნიადაგებში გატანილია 300 ტონა ორგანული სასუქი. კიდევ გაიტანენ 700 ტონა ნაკელს, 100 ტონა ფოსფორს.

საგაზაფხულო ხვნა გაჩაღდა ხაბუმის ლენინის სახელობის, კირცხის XX პარტყრილობის სახელობის, ახალსოფლის, ახუთის და სხვა კოლმეურნეობებში. ცხაკაიელი მხვნელ-მთესველები პირობას იძლევიან სასუქების, ქიმიის, მექანიზაციისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გამოყენებით წელს სიმინდისა და სხვა კულტურების უხვი მოსავალი მიიღონ.

ს. კუჭავა.

ითესება მარცვლეული

ზნაური. (საკ. კორ.). ამ დღეებში დიდი გამოცოცხლებაა ზნაურის საწარმოო სამმართველოს ქვათეთრის კოლმეურნეობაში. ქვათეთრელები თესავენ ხორბალს „შავფხას“, გაზაფხულის ქერს, შვრიას.

კოლმეურნეობის მინდვრებზე განუწყვეტლივ გუგუნებენ ტრაქტორები, რომლებსაც მართავენ მექანიზატორები ფ. კაუაშვილი და ქ. გაბარაევი. მათ უკვე დათესეს 4 ჰექტარი ხორბალი, 25 ჰექტარი გაზაფხულის ქერი, 20 ჰექტარი შვრია.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჟურნალ „მნათობის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პირველი ნომრის გამოსვლის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით და ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის, ჟურნალი „მნათობი“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე
ქ. თბილისი,
1964 წლის 12 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. კ. ი. კოვზირიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის სამგორის საჯიშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი კონსტანტინე იაკობის ძე კოვზირიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე
ქ. თბილისი,
1964 წლის 12 მარტი.

ჯანმრთელობის კერები — მშრომელთა სამსახურში

12 მარტს თბილისში, რკინიგზელის სახლში გაიმართა საქართველოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა მუშაკების აქტივის რესპუბლიკური თათბირი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პარტიულ, პროფკავშირულ, სამეურნეო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა, სამინისტროების, უწყებების ხელმძღვანელებმა.

თათბირზე მოხსენება „მშრომელთა მომსახურების მდგომარეობა რესპუბლიკის კურორტებში და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი“ გააკეთა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **შ. ა. დოლიძემ**.

მას შემდეგ, რაც სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებანი და დასასვენებელი სახლები გადაეცა პროფკავშირთა გამგებლობაში, თქვა მომხსენებელმა, მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა ჯანმრთელობის კერების ქსელის განვითარებისათვის, კურორტების კეთილმოწყობისა და მშრომელთა სანატორიულ-საკურორტო მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის.

მაგრამ, როგორც ამხ. დოლიძემ აღნიშნა, საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოების, აგრეთვე სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, საკურორტო სასტუმროებისა და სხვა მეურნეობათა მუშაობაში არსებითი ნაკლოვანებანია.

საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოები ყოველთვის როდი იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას მუშაობისადმი მშრომელთა სანატორიულ-საკურორტო მომსახურეობისათვის.

სავაჭრო ორგანიზაციები დამაკმაყოფილებლად არ ამარაგებენ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს საჭირო ასორტიმენტის საადრეო მწვანილით, ბოსტნეულით, ხილით, რძისა და კვების სხვა პროდუქტებით.

კულტურულ-მასობრივი მუშაობა ყველა ჯანმრთელობის კერაში როდი შეესაბამება მოთხოვნებს.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებმა გასულ წელს ჩაშალეს ახალი ჯანმრთელობის კერების მშენებლობის გეგმა.

საჭიროა, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, ძირეულად გავაუმჯობესოთ მშრომელთა საკურორტო მომსახურება, გავზარდოთ ჯანმრთელობის კერების მუშაკთა პასუხისმგებლობა.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

აფხაზეთისა და აჭარის პროფკავშირთა კურორტების მართვის საბჭოების თავმჯდომარეებმა ამხანაგებმა **გ. პ. პაპასკუამ** და **ა. მ. ბერიძემ** ილაპარაკეს ავტონომიური რესპუბლიკების კურორტების განვითარების შესახებ.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ამხ. **ს. ვ. ცომაია** შეეხო იმ საკითხებს, რომ კურორტების სამედიცინო პერსონალმა გააძლიეროს სამეცნიერო-მეთოდური და კვლევითი მუშაობა.

იმაზე, თუ რა კეთდება ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების, დიაგნოსტიკისა და სამკურნალო კვების გასაუმჯობესებლად, თათბირის მონაწილეებს უამბო „ბორჯომ-ლიკანის“ სანატორიუმის დიეტური კვების ექიმმა **ე. ს. დვალიშვილმა**.

ავადმყოფთა და დამსვენებელთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის ჯანმრთელობის კერების კოლექტივთა ბრძოლის საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები პროფკავშირთა კურორტების მართვის ბორჯომისა და წყალტუბოს საბჭოების თავმჯდომარეებმა ამხანაგებმა **ვ. თ. ხუციშვილმა** და **ო. რ. იოსელიანმა**.

თათბირის მონაწილენი ვერ დააკმაყოფილა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის ამხ. **გ. მ. ქართველიშვილის** გამოსვლამ. იგი შეეცადა ახალი ჯანმრთელობის კერების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმის შეუსრულებლობა გაემართლებინა სხვადასხვა „ობიექტური“ მიზეზით. აქტივის კრებამ მოსთხოვა მშენებლებს გააძლიერონ სამშენებლო სამუშაოთა ტემპი და გააუმჯობესონ ხარისხი.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ამხ. **რ. ს. ელიგულაშვილმა** ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ვითარდება სავაჭრო საწარმოთა ქსელი საქართველოს კურორტებში.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა პროფკავშირთა კურორტების მართვის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ი. ი. კოზლოვმა**.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, კურორტთა პოლიკლინიკების, დამხმარე მეურნეობების, სამშენებლო ორგანიზაციების ყველა მუშაკისადმი, რომელშიც მოუწოდეს მათ გააუმჯობესონ დამსვენებელთა სამედიცინო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, მიაღწიონ მაღალ მაჩვენებლებს ჯანმრთელობის კერების მუშაობაში.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. **პ. ა. როდიონოვმა** და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ვ. მ. სირაძემ**. (საქდესი).

მკითხველი გვთავაზობს, გვირჩევს, ამხილებს

დიდ მშენებლობებს — დიდი ყურადღება

პატარებს მცოდნე აღმზრდელი სჭირდებათ

გაუფრთხილდით ადამიანის სიცოცხლეს

ლოთობა, ავარია და დანაშაული

ახლა, როცა სახალხო მეურნეობის ყოველი დარგის მშრომელები მთელი ენერგიით და ორგანიზებულად იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, სერიოზული მოვალეობა ეკისრება ტრანსპორტს, განსაკუთრებით კი საავტომობილო ტრანსპორტს, მის თვითეულ მუშაკს, მექანიკოსებს და მძღოლებს.

საავტომობილო მეურნეობების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუშაკებისა და უწინარეს ყოვლისა კი სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლების ვალია უზრუნველყოთ სრულყოფილი წესრიგი ტრანსპორტის მუშაობაში, მივაღწიოთ იმას, რომ ტრანსპორტი მუშაობდეს შეწყობილად, ორგანიზებულად, სწრაფად, შეუფერხებლად და უავარიოდ.

შევეძლო დაგვესახელებინა საავტომობილო ტრანსპორტის ბევრი გამოჩენილი და კეთილსინდისიერი მუშაკი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა სატრანსპორტო მეურნეობისა და მძღოლის მუშაობა მოწოდების სიმაღლეზე იდგეს. არა, ამ მხრივ ბევრი ნაკლოვანება გვაქვს, ჯერ კიდევ ხშირია მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევები.

ტრანსპორტის ექსპლოატაციის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოძრაობის უშიშროების სრული უზრუნველყოფა, რის შედეგადაც თავიდან იქნება აცილებული უბედური შემთხვევები, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ტრანსპორტის მართვა სიმთვრალის დროს. ზოგიერთ მძღოლს ავიწყდება ან არ უნდა გაიგოს, რომ სიმთვრალისას მანქანის მართვა დანაშაულია.

1963 წელს მილიციის ორგანოებისა და საზოგადოებრივი აქტივის მიერ მოძრაობის წესების უხეში დარღვევისათვის 9.000-ზე მეტ მძღოლს ჩამოერთვა მართვის უფლება, მათ შორის 3.700 მძღოლი ნასვამი იყო.

დიდი რუსი ფიზიოლოგი აკადემიკოსი ი. პ. პავლოვი ამბობდა: — „ალკოჰოლს გაცილებით მეტი მწუხარება მოაქვს კაცობრიობისათვის, ვიდრე სიხარული, თუმცა მას სწორედ გასამხიარულებლად ეტანებიან. რამდენი ნიჭიერი და ძლიერი ადამიანი დაიღუპა და იღუპება ახლა ამის მიზეზით“. ეს რომ ასეა, ამაზე მეტყველებს ის მეტად სამწუხარო ფაქტები, რომელთა მოწმენიც ჩვენ ხშირად ვხდებით.

1963 წლის 6 ოქტომბერს თბილისის № 5 ავტოსატრანსპორტო კანტორის ავტომანქანა „გაზ-51“-ის მძღოლს ს. ო.-ვს დავალებული ჰქონდა ჯანდარის საბჭოთა მეურნეობიდან თბილისში გადამოეყვანა სიმინდის ასაღებად შაბათობაზე მყოფი ხალხი, მძღოლმა უკან დაბრუნებისას დალია ალკოჰოლიანი სასმელი; ნასვამმა განავითარა დიდი სიჩქარე, რის შედეგადაც ვერ შეძლო მანქანის სწორი მართვა, მანქანა ხიდიდან გადააგდო. ავარიის შედეგად დაიღუპა და მძიმედ დაზიანდა რამდენიმე ადამიანი.

ქუთაისში სატვირთო ავტომანქანის მძღოლი რ. გ-ნი მთვრალი მართავდა მანქანას. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის წინ გადავიდა გზის სავალი ნაწილის მარცხენა მხარეზე და მანქანა დააჯახა ქუჩაზე მიმავალ ხალხს, რის შედეგადაც ხუთმა მოქალაქემ მიიღო სხეულის სხვადასხვა კატეგორიის დაზიანება.

ზემოაღნიშნული და მსგავსი ფაქტები მეტყველებენ იმაზე, რომ სატრანსპორტო მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკები მძღოლთა შორის სუსტად ეწევიან აღმზრდელობით მუშაობას, არ ატარებენ საჭირო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

ავტომანქანის საჭეს არაიშვიათად მთვრალები უსხედან ავტომოყვარულებიც.

გასული წლის 24 დეკემბერს მსუბუქი ავტომანქანა „პობედის“ პრ 93-37-ის მფლობელი ა. ა. მთვრალი მართავდა მანქანას. მან დიდი სიჩქარე განავითარა და ზუგდიდის მახლობლად თავისი მანქანა დააჯახა გზაზე მდგომ სატვირთო ავტომანქანას; შემთხვევის შედეგად დაიღუპა თვითონ, ხოლო ორი მოქალაქე მძიმედ დაშავდა.

განა აღმაშფოთებელი არ არის ის ფაქტი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ გმირთა მოედანთან, ვარაზისხევში მოხდა. ავტოავარიის შედეგად დაიღუპა სამი, ხოლო სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო ორმა მოქალაქემ. ამის მიზეზიც სიმთვრალე იყო.

თბილისში აზიზბეკოვის ქუჩაზე მცხოვრებმა, არყით გალეშილმა რ. ვ-მა მანქანაში ჩაისვა თავისი მცირეწლოვანი შვილი და ქალაქში გასეირნება მოინდომა. სამღებროს ქუჩაზე მანქანა დააჯახა კედელს, რის შედეგადაც თვითონ დაზიანდა, ხოლო ბავშვი მძიმედ დასახიჩრდა.

უკანასკნელ დროს ცალკეული მოქალაქეები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, თავიანთ მსუბუქ ავტომანქანებს იყენებენ ისეთი „გართობისა“ და „გასეირნებისათვის“, რასაც ხშირად თან სდევს განსაკუთრებით საშიში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები. განა ამის დამადასტურებელი არ არის მიმდინარე წლის 2 თებერვალს 21 საათზე მომხდარი ფაქტი? ჯვრის მონასტრიდან ქეიფისა და გართობის შემდეგ დაბრუნებულმა საკუთარი „ვოლგის“ გრხ 14-91 მფლობელმა გ. ა-მა სიმთვრალის გამო მანქანა მტკვარში გადააგდო. შემთხვევის შედეგად დაიღუპა თვით ავტომანქანის მძღოლი და მასთან მყოფი სამი ახალგაზრდა.

ამ ფაქტს ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს თვითეული ჩვენგანი, ყოველი პატიოსანი მოქალაქე. საჭესთან მჯდომს ღვინო კი არ უნდა დავაძალოთ, პირიქით უნდა დავუშალოთ მაგარი სასმელების დალევა.

ჩვენი ხალხი ოდითგანვე განთქმულია სტუმართმოყვარეობის კარგი ტრადიციით, მაგრამ. ყოვლად შეუწყნარებელი და გაუგებარია ზოგიერთი „მასპინძლის“ და „მეგობრის“ საქციელი, როცა ისინი ჯიუტად აძალებენ სასმელს სტუმარს, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანის საჭეს უნდა მიუჯდეს. ეს მათ მიაჩნიათ „სტუმართმოყვარეობად“ და „მეგობრული გრძნობების გამოხატვად“. არ უფიქრდებიან, რომ ასეთი „გამასპინძლება“ ხშირად უბედური შემთხვევით მთავრდება.

ლოთობის, ალკოჰოლიზმის — წარსულის ამ მავნე გადმონაშთის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით მილიციის ორგანოებისა და ტრანსპორტის მუშაკებთან ერთად უნდა დაირაზმოს მთელი საზოგადოებრიობა, მკაცრად და სასტიკად უნდა გავკიცხოთ ის მძღოლები და ავტომოყვარულები, რომლებიც სიმთვრალეში მართავენ ავტომანქანებს და საფრთხეში იგდებენ საკუთარ სიცოცხლეს და სხვებსაც. ასეთ მძღოლთა, როგორც ბოროტმოქმედთა მიმართ, უნდა შევქმნათ საზოგადოებრივი გაკიცხვისა და ზემოქმედების ატმოსფერო. ასევე სასტიკად უნდა დავგმოთ იმ პირთა დაუშვებელი ქმედობა, რომლებიც მძღოლებს და ავტომოყვარულებს მაგარ სასმელებს აძალებენ.

ფართო მასებმა აქტიური დახმარება უნდა გაუწიონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ტრანსპორტის დარგის მუშაკებს მძღოლთა და ავტომოყვარულთა შორის ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყოველ საბჭოთა მოქალაქეს უნდა ახსოვდეს, რომ მარტო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოს მუშაკები ვერაფერს გახდებიან უწესრიგობათა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში, თუ თვით საზოგადოების მხარდაჭერა არ ექნებათ.

კომუნისტური მორალი ჩვენი ადამიანებისაგან მოითხოვს იყონ სპეტაკი, უანგარო, შეუწყნარებელნი უზნეობისა და დანაშაულობათა ყოველი გამოვლინების მიმართ. ბუნებრივია, პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე გულგრილად ვერ ჩაუვლის გვერდს წესრიგის დარღვევის ფაქტებს.

ასე უნდა ვუყურებდეთ დღეს ჩვენს მაღალ მოქალაქეობრივ მოვალეობას. მაშინ სხვადასხვა მახინჯ მოვლენებს, მათ შორის ტრანსპორტზე ლოთობით გამოწვეულ დანაშაულებრივ ფაქტებს არ ექნება ადგილი.

ო. ქავთარაძე,
საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი.

საჭესთან — მხოლოდ ფხიზელი

წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

ცილისმწამებელი

რედაქციაში მოვიდა ა. ჯანგულაშვილის მამხილებელი წერილი. ავტორი თავის საჩივარში ბრალს სდებდა ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ წნორის უფროსს ე. ჩხიკვაძეს სხვადასხვა სახის უკანონო მოქმედებისათვის.

წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად საქართველოს კპ თელავის სამრეწველო საწარმოო პარტიულ კომიტეტს გადაეგზავნა. პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. შ. კულულაშვილი რედაქციას ატყობინებს:

მამხილებელი წერილი, რომლის ავტორია რკინიგზის წნორის სადგურის სასაქონლო სადგურის მოლარე არჩილ ჯანგულაშვილი, ადგილზე შეამოწმა თელავის სამრეწველო საწარმოო ზონის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კომერციული სამსახურის წარმომადგენელთან ერთად.

შემოწმებით არც ერთი ბრალდება სადგურ წნორის უფროსის ჩხიკვაძის წინააღმდეგ **არ დადასტურდა. ისინი ცილისმწამებლურია.** პირიქით, დადასტურდა, რომ ა. ჯანგულაშვილი დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს უდისციპლინობას იჩენს, წარსულში მიცემული იყო პასუხისგებაში სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის.

სადგურის მუშა-მოსამსახურეთა შორის ა. ჯანგულაშვილი ავტორიტეტით ვერ სარგებლობს, პირად ცხოვრებაში თავდაჭერილობას არ იჩენს, ჯერ კიდევ 1960 წლის 24 დეკემბერს სადგურის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ აღძრა შუამდგომლობა ჯანგულაშვილის სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ. მუშა-მოსამსახურეთა მთელი კოლექტივი ამავე აზრისა იყო საკითხის შესწავლისა და განხილვის დროს, რაც ადგილზე მოეწყო.

ა. ჯანგულაშვილის მიერ სხვადასხვა მისამართით საჩივრების წერა საქმისათვის ზრუნვიდან არ გამომდინარეობს. მისი მიზანი მხოლოდ ის არის, რომ სახელი გაუტეხოს სადგურის უფროსს ჩხიკვაძეს და მიაღწიოს მის გაძევებას სამუშაოდან.

ზონის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა, განიხილა რა ეს საკითხი თავის სხდომაზე, რკინიგზის წნორის სადგურის სასაქონლო სადგურის მოლარე ა. ჯანგულაშვილი ცილისმწამებლური განცხადებების წერისათვის, ხელმძღვანელის ბრძანების შეუსრულებლობისათვის, თანამშრომელთა შორის ავტორიტეტის დაკარგვისათვის, კოლექტივის მიმართ არაჯანსაღი დამოკიდებულებისა და სადგურის უფროსთან მუდმივი კინკლაობისათვის, ოჯახური მდგომარეობის მოუწესრიგებლობისათვის, სადგურის მუშა-მოსამსახურეთა აზრის გათვალისწინებით გადააყენა თანამდებობიდან და დასვა საკითხი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს თბილისის განყოფილების წინაშე მისი სამუშაოდან მოხსნის შესახებ.

შ. კულულაშვილი,
საქართველოს კპ თელავის სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივანი.

რედაქციისაგან: ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსის მოადგილემ მ. მეჟვიამ რედაქციას აცნობა, რომ ა. ჯანგულაშვილი გათავისუფლებულია სამუშაოდან.

სიგნალი „კომუნისტის“ საგუშაგოდან

მშენებლობა უგრაფიკოდ?

რაბდოპისიტის საამქრო პირველი რიგის ობიექტია

იმ ახალ ქიმიურ სიმძლავრეთა შორის, რომლებიც წელს ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში უნდა ამუშავდეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან და პირველი რიგის ობიექტად ითვლება რაბდოპისიტის საამქრო.

როგორც „კომუნისტის“ სპეციალური საგუშაგო იტყობინებოდა, ამ დიდმნიშვნელოვანი ობიექტისათვის დღემდე მოწყობილობის ერთი ნაწილი სრულიადაც არ არის გამოყოფილი, ხოლო გამოყოფილი მოწყობილობის მიწოდების განრიგი ითვალისწინებს ნაწილის ადგილზე მიღებას ივნისსა და სექტემბერში.

გამოდის, რომ საამქროში, რომელიც წლის პირველ ნახევარში უნდა ამუშავდეს, საჭირო მოწყობილობა უნდა დაამონტაჟონ... წლის მეორე ნახევარში (?!)...

ცხადია, ასეთ ვითარებაში მტკიცე გრაფიკის შედგენას ვერც მშენებლები შეძლებდნენ და ვერც ქარხანა.

შეიძლება თქვან, არის გეგმა, არის ასამუშავებელი კომპლექსი, საჭიროა მხოლოდ მონდომება და უგრაფიკოდაც საქმე არ შეფერხდებაო.

კეთილი! მაგრამ ასამუშავებელ კომპლექსში, გარდა ძირითადი საწარმოო კორპუსისა, სამუხტავი სადგურის, ელექტრომომარაგების, ორთქლის და გაზის მილგაყვანილობის და ბევრი სხვა სამუშაოც ხომ შედის? ამავე დროს კი ადგილზე ამ სამუშაოებისა და მონტაჟისათვის საჭირო დაზუსტებული ტექნიკური სქემა არ გააჩნიათ. მისი შედგენა „გიპრომეზის“ რუსთავის საპროექტო ორგანიზაციას აქვს დავალებული და დღემდე ჭიანურდება.

რა თქმა უნდა, ამ საკითხების მოსაგვარებლად სახალხო მეურნეობის საბჭოს შესაბამისმა სამმართველოებმა და ქარხნის დირექციამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ.

მაგრამ, როგორ არის მაინც საქმე სამშენებლო მოედანზე? საწარმოო კორპუსის აგებას მაინც რა უშლის ხელს?

სამუშაოთა მწარმოებელ მ. ბროვკოს განცხადებით ხელს არაფერი უშლით იმისათვის, რომ საამქროს კორპუსი 1 აპრილისათვის მთლიანად მზად იყოს მონტაჟისათვის.

სინამდვილეში კი ასე როდია. კორპუსის აგების სამუშაოები 1 მარტისათვის 72 პროცენტით არის შესრულებული, ხოლო მთლიანად საამქროს ასამუშავებელი კომპლექსის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დავალება — 30 პროცენტით.

შეუწყნარებელია, მაგრამ ფაქტია, რომ სამშენებლო მოედანზე 2 მარტს, დამხმარე მუშების ჩათვლით 12 კაცი მუშაობდა, აქედან ხუთი დურგალი და სამი კალატოზი. მშენებლებს აკლდათ აგური, ხე-ტყის მასალა.

ამის მიუხედავად სამუშაო ფრონტის გაშლა-გაფართოება მაინც შეიძლება. ადგილზეა ფანჯრების ლითონკონსტრუქციები, დასავლეთის მხარეზე მთლიანად ამოყვანილია და შესალესად მზად არის კორპუსის კედლები, ბევრი სამუშაოა აგრეთვე მიწისქვეშა გარეკომუნიკაციების გასაყვანად. ამრიგად, ფანჯრების ჩასმას, შელესვას, შავი სახურავის მომზადებას, გარეკომუნიკაციების სამუშაოებს თითქოს ხელს არაფერი უშლის და 50 მშენებელს მაინც ერთდროულად შეუძლია მუშაობა. ფრონტი არის.

მაგრამ მთელი საქმე იმაშია, რომ არ ჰყოფნით კვალიფიციური მუშახელი, მექანიზმები.

დასანანია, რომ არა მარტო რაბდოპისიტის საამქროს მშენებლობაზე, მთლიანად, ქარხნის რეკონსტრუქციის სამუშაოებზე, მხოლოდ ერთი, ისიც მცირეძალოვანი ექსკავატორი მუშაობს, რომელსაც ხან ერთ, ხან მეორე ობიექტზე გადაისვრიან ხოლმე. ეს მაშინ, როცა სამი ექსკავატორი მაინც უნდა მუშაობდეს. არასაკმაოა ამწეები და სხვა მექანიზმები.

მართალია, მშენებლებმა დროულად აგეს საამქროსათვის 360 კვადრატული მეტრი ფართობის საწყობი. მაგრამ აქაც ჯერ კიდევ ბევრი ერთი შეხედვით წვრილმანი სამუშაოა შესასრულებელი.

№ 4 ტრესტის მე-9 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ა. კირტავა) მშენებლებმა კარგად უნდა გაითვალისწინონ, რომ მშენებლობის დღემდე აღებული ტემპი საკმარისი არ არის.

„კომუნისტის“ სპეციალური საგუშაგო ქუთაისის ლითოფონის ქარხნის რეკონსტრუქციის სამუშაოებზე: ა. კეკელია — ქარხნის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი, ი. თავდიდიშვილი — მოწყობილობის განყოფილების უფროსი, ს. მიქაშავიძე — ქარხნის სარემონტო საამქროს ზეინკალი, შ. ჯავახაძე — „კომუნისტის“ საკ. კორ.

გული რომ შესტკიოდეთ...

წარმოების სიძნელეები და საკონტეინერო სადგური

„საქკაბელის“ ზესტაფონის ქარხანა ქალაქის მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებთან ერთად დიდ სიძნელეებს განიცდის ქალაქ ზესტაფონში საკონტეინერო სადგურის უქონლობის გამო.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საკონტეინერო სადგურით მომსახურებას ქარხანა „საქკაბელთან“ ერთად საჭიროებენ ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიც არის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, შორაპნის „ელექტროელემენტის“, ჩხარის იატაკისა და კედლის ფილების, სამტრესტის ღვინის ქარხნები და მთელი რიგი სხვა სამრეწველო საწარმოები.

ფაბრიკა-ქარხნები იძულებული არიან ნედლეული და მზა პროდუქცია მიიღონ და გაგზავნონ ქუთაისიდან, სამტრედიიდან, სოხუმიდან. ცხადია, ამას დიდი ხარჯები და დრო სჭირდება, რაც მთავარია, ავტომანქანებით ტრანსპორტირებისას პროდუქცია ფუჭდება.

რას იტყვის ამის შესახებ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო? ხომ არ არის საჭირო ქალაქ ზესტაფონში უახლოეს მომავალში აიგოს და მოეწყოს საკონტეინერო სადგური?

თ. კირვალიძე,
„საქკაბელის“ ზესტაფონის ქარხნის შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსი.

ეს არის კავშირგაბმულობა?

ალპანაში დიდი ხანია არსებობს სატელეფონო სადგური. იგი ერთმანეთთან აკავშირებს ორ რაიონს — ამბროლაურსა და ცაგერს. აკავშირებსო, ვამბობთ, თორემ.., სადგური მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ეს ორი რაიონი ურთიერთთან დაკავშირებულია ერთადერთი სატელეფონო ხაზით.

შარშან გაზაფხულზე აქ დაიწყეს მეორე პარალელური სატელეფონო ხაზის გაყვანა, მაგრამ მის მშენებლობას ბოლო არ უჩანს.

ჯ. ხვადაგიანი,
კავშირგაბმულობის ალპანის უბნის ზედამხედველი;

ლ. ჩიკვაიძე,
კავშირგაბმულობის ალპანის ფოსტის მეელსმენე.

ჩვენი სამდურავი

ცუდად როდი შრომობს „საქნავთის“ წითელწყაროს ბურღვის კოლექტივი. ეს კარგია, მაგრამ ცუდია ის, რომ კულტურის მუშაკებს ერთხელაც არ გახსენებიათ ნავთის მაძიებლებისათვის კულტურული მომსახურების გაწევა.

ტარიბანაში ორასამდე კაცი მუშაობს. ისინი წითელწყაროდან 30 კილომეტრით არიან დაშორებულნი. სიღნაღის რაიონის კინოქსელის მუშაკებმა შარშან ერთხელაც ვერ მოახერხეს კინოსურათი ეჩვენებინათ ტარიბანაში. შარშანდელი ასეთი „მზრუნველობა“ წელსაც გრძელდება.

ტარიბანაში მომუშავე ნავთის მაძიებლებთან აგიტმხატვრული ბრიგადის გაგზავნა მაინც ხომ შეიძლებოდა?!

„კომუნისტის“ საგუშაგო „საქნავთის“ წითელწყაროს ბურღვის კანტორასთან. პ. იურკინი — ეკონომისტი; ვ. ყარაგვეზაშვილი, გ. ხარაზაშვილი, ს. ცაბაური — მბურღავები; თ. ფიროსმანიშვილი — მექანიკური სახელოსნოს გამგე.

ხეები ზეზეურად კვდებიან

თითქმის ჩვეულებად მაქვს გადაქცეული კვირაობით ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად თბილისის ზღვის სანაპიროსაკენ გამგზავრება.

მართლაც, აბა რა სჯობს, იქ გაშენებულ მუდამ მწვანე ხეივნებს, მქუხარე ტალღებს... ზოგჯერ ვთევზაობ კიდევაც.

უფრო მეტ დროს მე და ჩემი ვაჟები — მოსწავლეები ჩვენს მიერვე დარგულ მცენარეთა მოვლა-პატრონობას ვანდომებთ, მცენარეს ზამთარშიც უყვარს გვერდში ამოდგომა. ის ხომ ჩვენი განუყრელი მეგობარია. თბილისელი მშრომელები ზრუნვას არ აკლებენ ხალხის საუნჯეს — ნარგავებს.

მაგრამ ამას წინათ ავტობუსის დაგვიანებით ზღვაზე გასვლაც, გული მატკინა. აღშფოთება ვერ დავფარე და რისხვით ვთქვი: ეს ხომ ვერაგობაა, დანაშაულია!..

იმ დღეს ვიღაც გარეწარს წყალჯომარდობის სადგურთან გამხმარი ბალახისათვის ცეცხლი მოუკიდებია, და გადაუწვავს, ცეცხლს მარადმწვანე მცენარეები დაუზიანებია. გარუჯული ნარგავები თითქოს მუდარით მოგვმართავდნენ, ძლივს ფესვი გავიდგით, გავიხარეთ, ახლა კი ყურს არ გვიგდებთო.

ენით აუწერელი დანაშაულია: ჩვენ თვალწინ ხეები ზეზეურად კვდებიან — იწვიან..

ვლ. სუხიშვილი,
ზეინკალი.

ჯერაც არ არის

ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადასვლის მიზნით კარალეთის (გორის რაიონი) საშუალო სკოლის შენობისათვის ექვსი საკლასო ოთახისა და ფიზკულტურის დარბაზის მიშენება დაიწყეს. მშენებლობა რამდენიმე წელია მიმდინარეობს, მაგრამ ბოლო არ უჩანს.

ახლა მშენებლობას გორის რაიონის სამშენებლო-სარემონტო კანტორა აწარმოებს. კედლები ამოყვანილია და შენობა გადახურული. დარჩენილია შიდამოწყობის სამუშაოები. ახალი საკლასო ოთახები ახალი სასწავლო წლისათვის უნდა ყოფილიყო მზად, მაგრამ ჯერაც არ არის.

თ. ჩუხრუკიძე,
სოფლკორი.

ფუტკრის მტრები

ეს მოხდა გასულ ზაფხულში. საქვაჭრობის ტყიბულის განყოფილებამ საპროდუქტო საწყობში, რომელიც ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარეობს, დიდძალი შაქარი შემოზიდა. სავსე ტომრებს უამრავი ფუტკარი დაესია.

საწყობის თანამშრომლებმა ნაცვლად იმისა, რომ ფანჯრის ჩარჩოებში მინები ჩაესვათ და ამით დაეცვათ შაქარი ფუტკრისაგან, მიმართეს იოლ გზას, საწყობში აახრჩოლეს მბოლავი მაშხალები.

ასეთი ბარბაროსული, აშკარა დანაშაულებრივი მოქმედება ჩვენ, ფუტკრის პატრონებს, ძალიან ძვირი დაგვიჯდა. მხრჩოლავმა მაშხალებმა თითქმის მთლიანად გაგვინადგურა 52 ძირი ფუტკრის ოჯახი. მეფუტკრე რ. ბრეგაძეს დაეღუპა ფუტკრის ოცდაათი ოჯახი, ა. კვინიხიძეს —5, გ. ბარბაქაძეს — 3 ოჯახი. ასევე დიდძალი ფუტკარი გაუნადგურდათ მეფუტკრეებს შ. სოფრომაძეს, ა. ვარდოსანიძეს, გ. ქათამაძეს და სხვებს.

სამწუხაროდ, ფუტკრის მტრებს პასუხს არავინ სთხოვს.

ა. კვინიხიძე,
გ. ბარბაქაძე,
ქალაქი ტყიბული. გაბრიაძის ქუჩის მცხოვრებლები.

წვრილმანია, მაგრამ...

უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკის სამკერვალო მრეწველობამ მკვეთრად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, მოხდენილად, მაღალი გემოვნებით შეკერილი პალტოები, კაბები, კოსტიუმები ამშვენებენ მშრომელთა ცხოვრებას.

მაგრამ არის ზოგიერთი წვრილმანი, რომელსაც ფაბრიკა-ქარხნები არ ითვალისწინებენ. ეს კი მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს აყენებს მომხმარებელს. მე მხედველობაში მაქვს პერანგი. თვითეული მოქალაქე წლის განმავლობაში რამდენიმე პერანგს ყიდულობს. ეს იმიტომ, რომ ხმარების დროს პერანგს მალე უზიანდება, უცვდება საყელო. მომხმარებელი იძულებულია საყელოს გამო გადააგდოს ჯერ კიდევ მოსახმარად ვარგისი პერანგი.

მე ვფიქრობ ცუდი არ იქნება თუ სამკერვალო ფაბრიკები პერანგს გამოაყოლებენ ერთ ან ორ სათადარიგო საყელოს. ეს უბრალო რამ თვითეულ მოქალაქეს საკმაო თანხას დაუზოგავს.

ს. მენაბდე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

ლაქები ლურჯ ფონზე

ეს სათაური „კომუნისტში“ დაბეჭდილ იმ წერილს ჰქონდა, რომელშიც მხილებულ იყო აფხაზეთის ასსრ კურორტების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. წერილთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. ბერულავა რედაქციას ატყობინებს:

წერილში „ლაქები ლურჯ ფონზე“ მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. გაზეთის გამოსვლის შემდეგ შესაბამისმა უწყებებმა მიიღეს ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და დამსვენებელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

სასადილო „უოცვარის“ სამზარეულოს ელექტროფილები ელექტროქსელს მიუერთდა და შეუფერხებლად მუშაობს. შეცვლილია ქალაქ გუდაუთში სანატორიუმ „ვოლგის“ ხელმძღვანელობა. ამ სანატორიუმის ტერიტორია და გათბობის სისტემა წესრიგშია მოყვანილი. დამსვენებელთა კულტურულ-მასობრივი მომსახურების გასაუმჯობესებლად დასასვენებელ სახლ „ავტოგზელისათვის“ შერჩეულია ახალი კულტორგანიზატორი. ახალ ათონში კეთილმოწყობილია შიდასაკურორტო გზები.

ხორციელდება ღონისძიებანი მომავალ საკურორტო სეზონში დამსვენებელთა ყოველმხრივი მომსახურების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებისათვის.

ერთი საჭირო საქმის გამო

საჩხერის საყურძენ-საჩვენებელი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მსხვილი და მოწინავე მეურნეობაა დასავლეთ საქართველოში.

ჩვენთან განუხრელად იზრდება პროდუქტების წარმოება, მცირდება თვითღირებულება. ნიადაგში შეგვაქვს მინერალური და ორგანული სასუქები, ვამზადებთ და ვიყენებთ იაფფასიან სასუქს — მიწანაკელიან კომპოსტს, რომელიც კარგ შედეგს იძლევა. შარშან ასეთი სასუქი ვენახებში 2.500 ტონა შევიტანეთ, ხოლო წელს 3.000 ტონაზე მეტს ვამზადებთ.

შარშან 500 ტონამდე მინერალური სასუქი შევიტანეთ ვენახებში, მაგრამ ეს მოხდა ჩვენი შეხედულებისამებრ, ნიადაგების აგროქიმიური თვისებების შეუსწავლელად, რასაც მოჰყვა ნიადაგის ცალმხრივი კვება თავისი უარყოფითი შედეგებით.

საჩხერის საწარმოო სამმართველოს მომსახურება დაკისრებული აქვს ზესტაფონის აგროქიმიურ ლაბორატორიას. მისთვის ძნელია ყველას გასწვდეს. ამიტომ საჭირო და აუცილებელია ჩვენს საბჭოთა მეურნეობასთან შეიქმნას ნიადაგების აგროქიმიური ლაბორატორია. იგი ახლომახლო კოლმეურნეობებსაც დაეხმარება.

ს. ჭიხორია,
საჩხერის საყურძენ-საჩვენებელი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი, საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი.

კადრები — საბავშვო ბაღებს!

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 7 თებერვლის ნომერში დაბეჭდილმა წერილმა „ცხოვრების კარნახით“ დააყენა მრავალი საჭირბოროტო საკითხი სახალხო განათლების, აღზრდის თემაზე. ჩვენ გვინდა შევეხოთ საბავშვო ბაღების, მათთვის კვალიფიციური კადრების მომზადების საკითხს.

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის საკითხი ყოველთვის იყო და არის პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყურადღების ცენტრში. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ქსელის გაშლა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყო. ამ დაწესებულებებში მომუშავე ნორჩი თაობის აღმზრდელ-მასწავლებელთა კადრების მომზადების საკითხს ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა, როგორც საერთოდ საბჭოთა კავშირში, ასევე ჩვენს რესპუბლიკაშიც. დროთა განმავლობაში საქართველოში არსებობდა რამდენიმე პედაგოგიური ტექნიკუმი, ხოლო ერთ ხანს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტთან 1937 წლამდე სკოლამდელი აღზრდის ფაკულტეტიც კი არსებობდა. ეს დაწესებულებები საკმაოდ კვალიფიციურ მუშაკებს ამზადებდნენ ჩვენი ნორჩი თაობის აღსაზრდელად.

როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ყოველწლიურად მატულობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რიცხვი. ხოლო დღეს, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პირობებში ასეთ დაწესებულებათა გაათკეცებული ზრდა ხდება. სადღეისოდ საქართველოში სკოლამდელ აღზრდის 700-ზე მეტი დაწესებულება — საბავშვო ბაღი მოქმედებს, ამ დაწესებულებებში 60.000-მდე ბავშვი სწავლობს და 5.000-ზე მეტი აღმზრდელ-მასწავლებელი მუშაობს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ, საგეგმო ორგანოების ცნობების მიხედვით, 1965 წლიდან საქართველოში ყოველწლიურად გაიხსნება 35 ახალი საბავშვო ბაღი 280 აღმზრდელ მასწავლებლით და გაფართოვდება არსებული საბავშვო ბაღები. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ასეთი სიმრავლე და ზრდის ტემპები ერთგვარად საგანგაშო მდგომარეობას ქმნის ამ დაწესებულებებისათვის აღმზრდელ-მასწავლებელთა მომზადების საქმეში. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში მხოლოდ ერთი დაწესებულება — თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებელი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის მუშაკებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის საბავშვო დაწესებულებები მოკლებული არიან უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე კადრებს, რაც უდავოდ უარყოფით გავლენას ახდენს ნორჩი თაობის აღზრდის საქმეზე.

ჩვენს რესპუბლიკაში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმაღლესი განათლების მქონე კვალიფიციური კადრები საბავშვო დაწესებულებებისათვის არ მზადდება, უფრო მეტიც, ამჟამად პედაგოგიური ტექნიკუმებიც კი არ გაგვაჩნია საშუალო კვალიფიკაციის სპეციალური კადრების მოსამზადებლად.

ეს გარემოება უდავოდ უარყოფით გავლენას ახდენს სკოლამდელი აღზრდის საქმეზე, კერძოდ ნორჩი თაობის სასწავლო-საამზრდელო მუშაობაზე. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა რაიონებში, სადაც, უმრავლეს შემთხვევაში, საბავშვო ბაღებში მომუშავე კადრები თავიანთი ცოდნით, მომზადებით ვერ უპასუხებენ ნორჩი თაობის აღზრდისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. სპეციალური ფაკულტეტის უქონლობის გამო რესპუბლიკას თითზე ჩამოსათვლელი თუ ჰყავს უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე ხელმძღვანელი მუშაკები — საბავშვო ბაღების გამგეები, მეთოდისტები, მეთოდგაერთიანებათა ხელმძღვანელები და სხვ.

უფრო მეტიც, წლების განმავლობაში არ ხერხდება თბილისის პედაგოგიური კაბინეტის დაკომპლექტება სკოლამდელი აღზრდის საქმის მცოდნე მუშაკებით. რაიონებში კი საბავშვო ბაღებს, როგორც წესი, ხელმძღვანელობენ სკოლის ინსპექტორები, რომლებიც სკოლამდელი ასაკის ბავშვთა თავისებურებებსაც კი არ იცნობენ, თავი რომ დავანებოთ ამ დაწესებულებათა მუშაობის სპეციფიკას.

უდავოდ ამ, ვიტყოდით, საგანგაშო მდგომარეობით არის გამოწვეული სახალხო განათლების ორგანოების, პროფესიული კავშირების და სხვა. საბჭოთა დაწესებულებების დაინტერესება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მუშაობით. ამ ცოტა ხნის წინათ დაწყებითი და საშუალო განათლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა შეისწავლა რესპუბლიკის საბავშვო ბაღების მუშაობა, მოისმინა ამ საქმისათვის გამოყოფილი სპეციალური კომისიების მუშაობის შედეგები და გამოიტანა დადგენილება საქართველოში რომელიმე პედაგოგიურ ინსტიტუტთან სკოლამდელი აღზრდის ფაკულტეტის გახსნის თაობაზე.

ეს საკითხი პირველად როდია წამოყენებული ჩვენი საზოგადოებრიობისა და საბჭოთა დაწესებულებების მიერ, მაგრამ ვერ იქნა და თავი ვერ მოება ამ საქმეს. გაუმართლებელია, ახალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში უაღრესად დაწინაურებული ჩვენი რესპუბლიკის სკოლამდელი აღზრდის საქმეში ჩამორჩენა.

საბჭოთა კავშირში შემავალ ზოგიერთ რესპუბლიკაში 1932 წლიდან პედინსტიტუტებთან არსებობს სკოლამდელი აღზრდის ფაკულტეტები, უფრო მეტიც, მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი მხოლოდ სკოლამდელი აღზრდისათვის საჭირო კადრების მომზადებას ემსახურება. ასეთი ფაკულტეტები დიდი ხანია მოქმედებენ ლენინგრადის, ხარკოვის, აზერბაიჯანის, სომხეთის და მრავალი სხვა ქალაქისა და რესპუბლიკის პედაგოგიურ ინსტიტუტებთან.

საჭიროა ამ მეტად დამაფიქრებელ ჩამორჩენას დროულად დავაღწიოთ თავი და ნორმალურ კალაპოტში ჩავაყენოთ ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი თაობის სწავლა-აღზრდის საქმე, მით უმეტეს, რომ სკოლამდელი აღზრდის ფაკულტეტისათვის თბილისში მოიძებნება მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ამ ფაკულტეტის მუშაობას მაღალ დონეზე წარმართავენ და მოკლე დროში მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებლებსა და ხელმძღვანელებს მისცემენ ჩვენი ნორჩი თაობის აღმზრდელ დაწესებულებებს.

პროფ. შ. ძიძიგური,
პროფ. დ. ბენაშვილი,
დოც. ლ. ციხისთავი,
დოც. პ. კვირკველია.

საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები ცნობები მიმოხილვა

ამერიკული თვითმფრინავის მწარე გაკვეთილი

◇

ტოსკანაში ლეგენდებია საბჭოთა ჯოვანიზე

◇

მილიონები მოითხოვენ თავისუფლებას

საბჭოთა მთავრობის ნოტა

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

11 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემიონოვმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში უ. ჯ. სტესელი და გადასცა ნოტა, რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობა იძულებულია მოკლე ხნის განმავლობაში განმეორებით მიაქციოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ყურადღება ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა საშიშ მოქმედებას, რომელიც მიმართულია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული ხელშეუხებლობის წინააღმდეგ.

ნოტაში ნათქვამია, რომ ა. წ. 10 მარტს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში ქალაქ ჰელმშტადტის მახლობლად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან შეიჭრა „რბ-66" ტიპის ამერიკული რეაქტიული სამხედრო თვითმფრინავი. რადგან დამრღვევი თვითმფრინავი არ დაემორჩილა ბრძანებას დაჯდომის შესახებ, საბჭოთა შეიარაღებული ძალები, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებთან შეთანხმებით მოქმედებდნენ, იძულებული გახდნენ მიეღოთ საჭირო ღონისძიებანი. დამრღვევი თვითმფრინავი ჩამოვარდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქალაქ გარდელეგენის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

გამოძიებამ ცხადყო, რომ თვითმფრინავი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიჭრა სამხედრო დაზვერვის სპეციალური მიზნით.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავების შეჭრა სხვა ქვეყნების ფარგლებში მტრული მიზნებით, ხაზგასმით აღნიშნულია ნოტაში, არასგზით არ შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა ურთიერთნდობის განმტკიცების შესაფერის საშუალებად. პირიქით, ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა ამგვარ მოქმედებას შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ აქციები, რომელთა მიზანია საერთაშორისო ვითარების გამწვავება.

საბჭოთა მთავრობა, აღნიშნულია შემდეგ ნოტაში, იძულებულია გაგაფრთხილოთ, რომ ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა პროვოკაციული მოქმედებისა და იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების საზღვრების გასწვრივ განუწყვეტლივ დაფრინავენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები, რომლებსაც თან აქვთ ატომური ტვირთი, აგრეთვე იმის გამო, რომ მეორდება ამერიკის თვითმფრინავების მიერ სსრ კავშირის მოკავშირე სოციალისტური ქვეყნების საზღვრების დარღვევის შემთხვევები, საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს დავუდასტურეთ ბრძანება ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწიონ საბჭოთა საზღვრებისა და ჩვენი მოკავშირეების საზღვრების ყოველგვარ დარღვევას უცხოეთის სამხედრო ავიაციის მიერ. თუ რაიონში, რომლის უშიშროების უზრუნველყოფისათვის პასუხს აგებენ საბჭოთა კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალები, აღმოჩნდნენ ნატოს ქვეყნების სამხედრო თვითმფრინავები, ისინი, როცა არ შეასრულებენ ბრძანებას დაჯდომის შესახებ, მოსპობილ იქნებიან თავდაცვის ყველა საჭირო საშუალების გამოყენებით.

სსრ კავშირის მთავრობა მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიიღებს საჭირო ღონისძიებებს, რათა მშვიდობის საქმისათვის საშიში ამგვარი დარღვევები აღარ განმეორდეს მომავალში. (საკდესი).

უნგრელ მეგობრებთან

ბუდაპეშტი. სკკპ პარტიულ მუშაკთა დელეგაციამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით, რომელიც უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით იმყოფება უნგრეთში, იმოგზაურა ჩონგრადის ოლქში. საოლქო ცენტრ სეგედში დელეგაციის წევრები მივიდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის საოლქო კომიტეტში, სადაც დაესწრნენ საოლქო კომიტეტის გაფართოებულ პლენუმს, ეწვივნენ ატილა იოჟეფის სახელობის უნივერსიტეტსა და მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტს. საბჭოთა სტუმრები ეწვივნენ აგრეთვე სეგედის კოოპერატივ „პროგრესს".

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ცნობა

ნიუ-იორკი, 12 მარტი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ გამოაცხადა, რომ გუშინ საღამოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ერთსა და იმავე დროს მიიღო ავსტრიის, ბრაზილიის, ირლანდიის, კანადის, შვეციისა და ფინეთის წარმომადგენელნი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, უ ტანი სთხოვს ამ 6 ქვეყანას გამოჰყონ თავიანთი კონტინგენტები „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებისათვის", რომლებიც კვიპროსში უნდა გაიგზავნონ.

მეცამეტე წარუმატებლობა

ნიუ-იორკი, 11 მარტი. (საკდესი). დღეს კენედის კონცხის გამოსაცდელ პოლიგონზე სცადეს „პოლარის ა-3" რაკეტის გაშვება. რაკეტა ასცდა კურსს და ჩავარდა ოკეანეში მიზნიდან დიდ მანძილზე. 33 გაშვებული „პოლარის ა-3" რაკეტიდან ეს სათვალავით მეცამეტე წარუმატებლობაა.

ამერიკაში გაუშვეს საიდუმლო თანამგზავრი

ნიუ-იორკი, 12 მარტი. (საკდესი). გუშინ შეერთებულმა შტატებმა ორბიტაზე დედამიწის გარშემო გაუშვეს საიდუმლო თანამგზავრი. როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, თანამგზავრი გაუშვეს პოინტ-არგუელიოს (კალიფორნიის შტატი) პოლიგონიდან.

ამზადებენ ახალ პროვოკაციებს

ვაშინგტონი, 12 მარტი. (საკდესი). კუბელი კონტრრევოლუციონერი ემიგრანტები, რომლებმაც თავშესაფარი პოვეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ახალ პროვოკაციებს ამზადებენ კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამ მიმართულებით აქტიურად მოქმედებს კუბელი რენეგატი მანუელ რეი. მან განიზრახა მოაწყოს კუბაში „ფართო ფარული დივერსიულ-ძირგამომთხრელი საქმიანობა" და სურს, რომ შეერთებული შტატები დაეხმარონ ამ საქმეში. რეი ცდილობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან მიიღოს დაპირება, რომ არ შეუშლის ხელს დივერსანტებისა და იარაღის არალეგალურ გადაგზავნას კუბაში, აგრეთვე დაპირება, რომ განუწყვეტლივ მიაწვდის საშუალებებსა და იარაღს მას შემდეგ, რაც დივერსანტები დაიწყებენ ოპერაციებს კუნძულზე.

რეიმ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტსა და ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს აცნობა, რომ მზად არის დაიწყოს თავისი კაცების გადაყვანა კუბაში. რეის განზრახული აქვს ასეთი ოპერაციებისათვის ბაზებად გამოიყენოს ვენესუელა და ცენტრალური ამერიკის სხვა ქვეყნები.

სენატორი მორზე: დადგა დრო გავშორდეთ სამხრეთ ვიეტნამს

ვაშინგტონი, 10 მარტი. (საკდესი). თავდაცვის მინისტრი მაკნამარა და მისი თანმხლები პირები ახლა საინსპექციოდ მოგზაურობენ სამხრეთ ვიეტნამის იმ ნაწილში, რომელსაც კონტროლს უწევს სამხრეთ ვიეტნამის სამხედრო ხუნტა.

სამხრეთ ვიეტნამში ჩასვლისას მაკნამარამ მაშინვე განაცხადა, რომ პრეზიდენტი ჯონსონი და ამერიკის შეერთებული შტატები მთლიანად მხარს უჭერენ გენერალ კხანს და მზად არიან „გაუწიონ მას განუსაზღვრელი დახმარება, რომელიც შეპირობებული არ იქნება რაიმე ვალდებულებით".

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების უფრო საღად მოაზროვნე ელემენტებისათვის უკვე ცხადი ხდება ამერიკის პოლიტიკის უიმედობა და უპერსპექტივობა სამხრეთ ვიეტნამში. სენატორმა მორზემ მოითხოვა, რომ თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ანგარიში ჩააბარონ სახელმწიფოს იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ „ამდენი ამერიკელი დაიხოცა და ამდენი ფულადი სახსრები დავხარჯეთ სამხრეთ ვიეტნამში". მილიონობით ამერიკელისათვის, განაცხადა მორზემ, უკვე ცხადი ხდება, რომ დადგა დრო გავშორდეთ სამხრეთ ვიეტნამს.

ბონის კედელი დასავლეთ ბერლინში



გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დასავლეთ ბერლინის სენატის წარმომადგენელთა რვა შეხვედრა, რომელთა მიზანი იყო მიეღწიათ ახალი შეთანხმებისათვის, რომელიც დასავლეთ ბერლინის მცხოვრებთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში შესვლის უფლებას მისცემდა უშედეგოდ დამთავრდა.

ჰერლუფ ბიდსტრუპის ნახატი დანიის გაზეთ „ლანდ ოგ ფოლკიდან".

იტალიის კომპარტიის ეროვნული კონფერენცია

ნეაპოლი, 12 მარტი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა იტალიის კომუნისტური პარტიის მეხუთე ეროვნული კონფერენცია.

კონფერენციაზე მოხსენება წაიკითხა იტალიის კომუნისტური პარტიის სამდივნოს წევრმა, საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ემანუელე მაკალუზომ.

ეკონომიური აგრესია ბოლივიის წინააღმდეგ

ჰავანა, 11 მარტი. (საკდესი). დემპინგი, რომელიც შემოიღეს შეერთებულმა შტატებმა, რომლებსაც მსოფლიო ბაზარზე გააქვთ დიდძალი კალა და ჩალის ფასად ჰყიდიან, შეიძლება ჩაეთვალოთ როგორც ეკონომიური აგრესია ბოლივიის წინააღმდეგ, განაცხადა ბოლივიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფერნანდო იტურალდე ჩინელმა. დემპინგი ბოლივიის ეკონომიკას დიდ ზარალს აყენებს.

ბოლივია, განაცხადა მინისტრმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების საკითხზე გამართულ ჟენევის კონფერენციაზე დააყენებს ამერიკელთა მიერ შემოღებული დემპინგის საკითხს.

ამერიკელთა პოლიტიკასთან დაკავშირებით ბოლივიის მთავრობამ პრეზიდენტ ჯონსონს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა. ნოტაში აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატების მიერ დიდძალი კალის გაყიდვა გამოიწვევს იმას, რომ კალის მსოფლიო ფასები ბოლივიის კალის თვითღირებულებაზე ნაკლები იქნება. ამგვარი პოლიტიკა, ნათქვამია ნოტაში, გააჩანაგებს ბოლივიის ეკონომიკას.

ნოტაში აღნიშნულია, რომ პოლიტიკა, რომელსაც შეერთებული შტატები ახორციელებენ, მათ მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევაა.

მოლაპარაკება პეკინში

ბუქარესტი, 12 მარტი. (საკდესი). აჯერპრესის სააგენტო იუწყება: 3-დან 10 მარტამდე პეკინში მიმდინარეობდა მოლაპარაკება რუმინეთის მუშათა პარტიის დელეგაციასა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციას შორის.

რუმინეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ამხანაგები: რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი იონ გეორგე მაურერი — დელეგაციის მეთაური, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ემილ ბოდნერაში, ნიკოლაე ჩაუშესკუ და კივუ სტოიკა — დელეგაციის წევრები.

ჩინეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ამხანაგები: ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლიუ შაოცი — დელეგაციის მეთაური, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი დენ სიაო-პინი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი პინ ჯენი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი კან შენი — დელეგაციის წევრები.

ორივე მხარეს შორის გაიმართა აზრთა გაზიარება ურთიერთსაინტერესო საკითხებზე.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრულ ვითარებაში.

სტუმრად ფხენიანში

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტის დამთავრების შემდეგ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ი. გ. მაურერის მეთაურობით პეკინიდან ფხენიანში ჩავიდა. რუმინეთის მუშათა პარტიის დელეგაცია კორეის შრომის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

იტალიის მოსახლეობა

რომი, 12 მარტი. (საკდესი). სტატისტიკის ცენტრალური ინსტიტუტის ცნობით, იტალიის მოსახლეობა მიმდინარე წლის დამდეგს შეადგენდა 50.619 ათას კაცს.

მწარე ხვედრი



ეს მცირეწლოვან დამნაშავეთა საკანი კი არ არის, არამედ ზანგების ჩვეულებრივი „ნორმალური" საცხოვრებელი ბინაა სამხრეთ აფრიკის ქალაქში.

რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მკვიდრი მცხოვრებნი დაჩაგრული არიან. „ფერადკანიანს" ყველაზე ბინძური სამუშაო ეძლევა, მის ოჯახს ყველაზე ცუდი საჭმელი და ყველაზე უხეირო ბინა აქვს.

ზანგები პროტესტს აცხადებენ რასისტული პოლიტიკის წინააღმდეგ, იბრძვიან უკეთესი ცხოვრებისათვის, მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

ამ ოთახში დიდი ოჯახი ცხოვრობს. თუ რა მოწყობილობაა იქ, ეს ჩანს სურათზე — სკამი, მაგიდა, ქვაბი და ორი ნავთქურა. დიდები სამუშაოდ ან სამუშაოს საძებნელად წასულან. მშიერი ბიჭუნა ელის მათ.

საკდესის ფოტოქრონიკა.

უმიწაწყლო გლეხების 700-კილომეტრიანი ლაშქრობა

მონტევიდეო. 20 დღის გასტანა არტიგასის დეპარტამენტის უმიწაწყლო გლეხების ლაშქრობამ. მათ 700 კილომეტრი გაიარეს და ურუგვაის დედაქალაქში ჩავიდნენ, რათა მოეთხოვათ ხელისუფლებისათვის დაუყოვნებლივ მოახდინოს ლატიფუნდისტთა მამულების კონფისკაცია, დაუნაწილოს მიწები გლეხებს.

ქალაქის გარეუბანში ლაშქრობის მონაწილეებს შეხვდნენ პროფკავშირებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. გლეხებმა ჩვეულებისამებრ ბანაკი გამართეს. ქალები და ბავშვები თავიანთ სახლებში დააბინავეს მუშებმა. ავადმყოფებს დაუყოვნებლივ გაუწიეს სამედიცინო დახმარება. მოეწყო კულტურული მომსახურება — ბევრმა ჩამოსულმა არც კი იცის რა არის კინო. დედაქალაქის მშრომელები აგროვებენ სახსრებს გლეხების დასახმარებლად.

ქალაქის ცენტრში, თავისუფლების მოედანზე, გაიმართა მასობრივი მიტინგი. მიტინგი მიმდინარეობდა ლოზუნგით: „მოვითხოვთ მიწასა და თავისუფლებას!", „დაუყოვნებლივ მოხდეს მემამულეთა მიწების ექსპროპრიაცია!", „მეტი ლოდინი აღარ შეგვიძლია!".

არტიგასის დეპარტამენტის გლეხებმა მიტინგის მონაწილეებს დაურიგეს მიმართვა მუშებისადმი, სტუდენტებისადმი, მთელი ურუგვაელი ხალხისადმი. ლაშქრობის მონაწილეებს განზრახული აქვთ გადასცენ ხელისუფლებს მათ მიერ შემუშავებული კანონპროექტი მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და უმიწაწყლო გლეხებისათვის მათი დანაწილების შესახებ. (საკდესი).

დაცვა მოითხოვს რუბის გამართლებას

ნიუ-იორკი, 12 მარტი. (საკდესი). ლ. ოსვალდის მკვლელი ჯ. რუბი მშვიდად იჯდა ბრალდებულის სკამზე და ღეჭავდა რეზინს, როცა გუშინ გამოაცხადეს, რომ შეწყდა დაცვის მოწმეთა ჩვენებების მოსმენა.

დამთავრდა რუბის საქმის გამო სასამართლო პროცესის მორიგი სტადია, რომლის დროს დაჰკითხეს 16 მოწმეს. ყველა ეს მოწმე ასე თუ ისე ცდილობდა „დაედასტურებინა" დაცვის ვერსია იმის შესახებ, რომ როცა ბრალდებულმა ოსვალდს ესროლა, იგი „შეურაცხად მდგომარეობაში" იყო.

მოწმეთა ჩვენებების დამთავრებისთანავე რუბის დამცველებმა მოითხოვეს მისთვის გამამართლებელი განაჩენის გამოტანა იმ „საფუძველზე", რომ ბრალდებულის დანაშაული თითქოს არ დამტკიცდა. მოსამართლემ უარყო დაცვის ეს მოთხოვნა.

გაფიცვები, პროტესტები

ინგლისი. მანქანათმშენებელთა გაერთიანებული პროფკავშირის აღმასკომმა ამ პროფკავშირის წევრებს მიუთითა არავითარ შემთხვევაში არ შეასრულონ სამუშაო, რომელიც დაკავშირებულია „რალი ინდასტრის ლიმიტების" კომპანიის ნოტინჰემის ველოსიპედის ქარხნისათვის პროდუქციის მიწოდებასთან. ამ პროფკავშირში 1 მილიონზე მეტი წევრია. ნოტინჰემის ველოსიპედის ქარხნის 350 მუშა უკვე ორი თვეა გაფიცულია. ისინი მოითხოვენ, რომ ადმინისტრაციამ გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ქარხნიდან უნდა დაითხოვონ 25 კაცი, რომლებიც თითქოს „ზედმეტნი" არიან.

საფრანგეთი. „შანტიე დე ლატლანტიკის" (სენ-ნაზერი) გემთსაშენში საპროტესტო მიტინგი გაიმართა იმის წინააღმდეგ, რომ ადმინისტრაციამ გადაწყვიტა სამუშაოდან დაითხოვოს მუშების დიდი ჯგუფი. 13 მარტს საწარმოდან დაითხოვენ 246 მუშას, რომლებიც განწირული არიან უმუშევრობისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატები. მიმდინარე წლის იანვარში შეერთებულ შტატებში 370 გაფიცვა იყო, რომლებშიც 100 ათასი კაცი მონაწილეობდა.

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე მხოლოდ 1962 წლის იანვარში იყო უფრო მეტი გაფიცვა.

იაპონია. ოსარიძავას (აკიტას პრეფექტურა) მაღაროელებმა 24 საათის გაფიცვა გამოაცხადეს. იაპონელი მაღაროელები მოითხოვენ შრომის პირობების გაუმჯობესებას და მაღაროში მუშების შტატის გადიდებას.

ბრაზილია. რიო-დე-ჟანეიროში შეწყდა ავტობუსების მოძრაობა. გაფიცულმა მეავტობუსეებმა განაცხადეს, რომ თუ ადმინისტრაცია არ დააკმაყოფილებს მძღოლებისა და მომსახურე პერსონალის მოთხოვნებს ხელფასის მომატების შესახებ, გაფიცვა გაგრძელდება.

ავტობუსი ბრაზილიის დედაქალაქის ძირითადი ტრანსპორტია. ამ ტრანსპორტით სარგებლობს მცხოვრებთა უმრავლესობა რიო-დე-ჟანეიროში, რომელიც ათობით კილომეტრზეა გადაჭიმული. (საკდესი).

ვენესუელა ახალი გზით

ვენესუელის ახალი პრეზიდენტის რაულ ლეონის განცხადება

კარაკასი, 12 მარტი. საკდესის კორესპონდენტი სერვანდო გარსია პონსე იტყობინება:

ეროვნული კონგრესის საზეიმო სხდომაზე თანამდებობა დაიკავა რესპუბლიკის ახალმა პრეზიდენტმა რაულ ლეონიმ, რომელიც ვენესუელის პრეზიდენტად გასული წლის 1 დეკემბერს აირჩიეს.

თავის სიტყვაში რაულ ლეონიმ განაცხადა, რომ იგი შექმნის ფართო კოალიციის მთავრობას, რომელიც „ვენესუელის ხალხს გაათავისუფლებს ჩამორჩენილობისა და სიღატაკისაგან".

ლეონიმ მოუწოდა ვენესუელის პოლიტიკურ ძალებს ითანამშრომლონ მასთან იმ მიზნით, რომ „მოვახდინოთ ეკონომიური გარდაქმნები" და „დავძლიოთ ნავთობზე ჩვენი დამოკიდებულობა". მან განაცხადა, რომ მისი მთავრობა აღარ მისცემს კონცესიებს უცხოეთის ნავთობის კომპანიებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაფართოვდება სახელმწიფო საწარმოს „ვენესუელის ნავთობის კორპორაციის" საქმიანობა. მან განაცხადა, რომ ვენესუელაში გაზის განაწილება, რაც ახლა უცხოეთის კომპანიების ხელშია, გადავა ვენესუელის ნავთობის კორპორაციის გამგებლობაში.

რაულ ლეონი შეეხო საგარეო პოლიტიკის საკითხებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი მთავრობა დაიცავს ჩაურევლობისა და ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპებს. ჩემი მთავრობა, თქვა მან, იბრძოლებს კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

პრეზიდენტმა შექმნა ახალი კაბინეტი. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია ვენესუელის ყოფილი ელჩი დიდ ბრიტანეთში ადვოკატი იგნასიო ირიბარენ ბორხესი, ეროვნული თავდაცვის მინისტრად — გენერალი ფლორენსიო გომესი, შინაგან საქმეთა მინისტრად გონსალო ბარიოსი.

ახალი პრეზიდენტი რაულ ლეონი ადვოკატია განათლებით. დაიბადა 1905 წელს ბოლივარის შტატში;

რაულ ლეონი გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწეა. იგი იყო ვენესუელის უნივერსიტეტების სტუდენტთა ფედერაციის თავმჯდომარე. იბრძოდა დიქტატორ ხუან ვისენტე გომესის წინააღმდეგ. როცა 16 წლისა იყო საპყრობილეში ჩასვეს, შემდეგში არაერთხელ იყო დაპატიმრებული, გაძევებული ვენესუელიდან. მმართველი პარტიის „დემოკრატიული მოქმედების" ერთ-ერთი ფუძემდებელია

1948 წელს სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, როცა პრეზიდენტი რომულო გალიეგოსი ჩამოაგდეს, ლეონი ჩასვეს საპყრობილეში, ხოლო შემდეგ ვენესუელიდან გააძევეს. პირეს ხიმენესის დიქტატურის დამხობის შემდეგ დაბრუნდა ვენესუელაში და დანიშნეს სენატორად, შემდეგ კი ეროვნული კონგრესის თავმჯდომარედ.

უცხოეთის ცნობები

☐ **ინგლისელი** ამომრჩეველი კვლავ უპირატესობას აძლევს ლეიბორისტულ პარტიას. ეს ცხადყო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებმა, რომელიც მოაწყეს პარლამენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით. კითხვაზე, რა პარტიას მისცემდით ხმას, ხვალ რომ პარლამენტის არჩევნები გაიმართოს, გამოკითხულთა 47,3 პროცენტმა მხარი დაუჭირა ლეიბორისტულ პარტიას, ხოლო 40,3 პროცენტმა — კონსერვატორებს.

☐ **თურქეთის** სენატმა დაამტკიცა სიკვდილის განაჩენები, რომლებიც გამოუტანეს გასული წლის 21 მაისის სამხედრო გადატრიალების ცდის ორგანიზატორებს თალათ აიდემირსა და ფეთხი გურჯანს. ორ სხვა ბრალდებულს სიკვდილის განაჩენი შეუცვალეს სამუდამო პატიმრობით.

☐ **სამხრეთ** ვიეტნამში რეგისტრირებულია შავი ჭირით დაავადების ახალი შემთხვევები დალატისა და ნხატრანგის რაიონებში. წინათ იუწყებოდნენ, რომ შავი ჭირით დაავადების რამდენიმე შემთხვევა იყო საიგონის გარეუბნებში. (საკდესი).

როგორ აღნიშნეს პროფკავშირთა ყრილობა

ლონდონი, 11 მარტი. (საკდესი). ასობით დემონსტრანტი შეიკრიბა გუშინ შენობის წინ, სადაც მიმდინარეობს ესპანეთის სინდიკატების (ფრანკისტულ პროფკავშირთა გაერთიანება. — რედ.) III ეროვნული ყრილობა. დემონსტრანტები გაიძახოდნენ: „ჩვენ გვინდა თავისუფალი პროფკავშირები!".

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი მადრიდიდან იუწყება, შენობაში, სადაც ყრილობა მიმდინარეობს, ჩაამსხვრიეს რამდენიმე მინის კარი. პოლიციამ დააპატიმრა 12 კაცი. პოლიციელთა რამდენიმე ჯგუფი შეიყვანეს შენობაში. მადრიდის მუშათა რაიონებში გავრცელდა ფურცლები, რომლებიც შეიცავს მოწოდებას იბრძოლონ ხელფასის მინიმუმის დაწესებისათვის, გაფიცვათა უფლებისათვის, დამოუკიდებელ პროფკავშირთა შექმნისათვის.

კვიპროსელები მოითხოვენ — „წაეთრიეთ აქედან!"

ნიქოზია, 11 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ნ. სემიონოვი იტყობინება: კვიპროსელთა მოთმინების ფიალა აავსო ინგლისელ „დამშოშმინებელთა" დანაშაულებრივმა მოქმედებამ, რომლებმაც სროლა აუტეხეს რესპუბლიკის მთავრობის ჯარებს.

დღეს დილაადრიან დედაქალაქ ნიქოზიის ქუჩებში გამოვიდა მოსწავლე და მუშა ახალგაზრდობა. უფრო მოგვიანებით ქუჩაში გამოვიდნენ მუშები ლოზუნგებითა და პლაკატებით: „ინგლისელებო, წაეთრიეთ კვიპროსიდან", „სირცხვილი ნატოს ბანაკის აგრესორებს!". მრავალმა ათასმა ახალგაზრდამ ქვა დაუშინა შეიარაღებულ ინგლისელ ჯარისკაცებს ნიქოზიის ცენტრში — მეტაქსასის მოედანზე. გაზეთმა „ხარავგიმ" დაბეჭდა სარედაქციო სტატია, რომელშიც წერს: „ჩვენ ერთსულოვნად მოვითხოვთ: „ინგლისელებო, წაეთრიეთ კვიპროსიდან!".

ნიქოზია, 11 მარტი. (საკდესი). კვიპროსის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა დღეს თურქთა თემის ხელმძღვანელობის ძირგამომთხრელი საქმიანობის გამო განაცხადა: „თურქთა ხელმძღვანელობის პოლიტიკა კუნძულზე ადგილობრივი ტერორისტების შეიარაღებული შეტაკებებისათვის შეგულიანების პოლიტიკაა იმ მიზნით, რომ გამოიწვიონ თურქეთის აგრესია კვიპროსის წინააღმდეგ. თურქი ექსტრემისტები ახორციელებენ რა თავიანთ გამთიშველურ პოლიტიკას, ყოველთვის ფიქრობდნენ და ფიქრობენ ახლაც, რომ თურქეთი შეიჭრება კუნძულზე".

სტამბოლიდან წავიდნენ

სტამბოლი, 11 მარტი. (საკდესი). ამერიკის მე-6 ფლოტის ხომალდების ჯგუფმა, რომელიც აქ იყო, დატოვა სტამბოლის ნავსადგური. გემები წავიდნენ ხმელთაშუა ზღვაში.

მას ჯოვანის ეძახდნენ

რუსების იმ რაზმის მეთაურებისა და მებრძოლების მამაცობასა და გმირობაზე, რომელსაც „ლეიტენანტი ჯოვანი" მეთაურობდა, ტოსკანაში ლეგენდებია შექმნილი. ასე უწოდებდა თავის თავს ადამიანი, იტალიელ პარტიზანებთან რომ მივიდა მთებში სხვა საბჭოთა ადამიანების ჯგუფთან ერთად, რომლებმაც თავი დააღწიეს ჰიტლერულ ტყვეობას და მხოლოდ ერთი რამ სთხოვეს იტალიელ მეგობრებს — შესაძლებლობა მიეცათ მათთან ერთად ებრძოლათ საძულველი ფაშისტი მხეცის წინააღმდეგ. პარტიზანებიდან არავინ არ იცოდა ამ კაცის ნამდვილი გვარი, არ იცოდნენ მათ ისიც, თუ ვინ იყო მეორე რუსი, რაზმის პოლიტიკური კომისარი. ერთ-ერთ ბრძოლაში კომისარი მძიმედ დაიჭრა და თავის მეგობრებს დაუტოვა იტალიურად დაწერილი წერილი — ანდერძი, რომელსაც ხელს აწერდა ივანე ეგოროვი.

აი ამ ამაღელვებელი დოკუმენტის სიტყვასიტყვითი თარგმანი, რომელსაც ტოსკანელი პარტიზანები ინახავენ როგორც თანამოიარაღეთა დიადი ძმობის ფასდაუდებელ რელიქვიას.

„ტოსკანის მთებში მოქმედი საბჭოთა პარტიზანების ჯგუფი მონაწილეობას იღებდა მრავალ ბრძოლაში ჰიტლერელ დამპყრობთა და იტალიელ მოღალატეთა — ფაშისტთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლების დროს საბჭოთა პარტიზანებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ჰიტლერელთა ოკუპაციისაგან ტოსკანის განთავისუფლების საქმეში. 1944 წლის 20 ივნისს გერმანელებმა იერიში მიიტანეს პარტიზანთა პოზიციებზე, ცდილობდნენ შური ეძიათ ჩვენი წინა ოპერაციების გამო, რომელთა მსვლელობაში პარტიზანებმა მწყობრიდან გამოიყვანეს ჰიტლერელთა ბევრი ტექნიკა და ჯარისკაცები. იტალიელ ხელმძღვანელთა მოქნილი მეთაურობისა და პარტიზანთა მამაცობის მეოხებით მტერი უკუიქცა.

ბრძოლა გარიჟრაჟიდან შუადღემდე გრძელდებოდა. პარტიზანთა დანაკლისი მინიმალური იყო. გერმანელები მიხვდნენ, რომ აგებდნენ ბრძოლას, და ისარგებლეს ერთადერთი შესაძლებლობით, რომელიც მათ დარჩენოდათ: გაქცეულიყვნენ. პარტიზანებმა გაიმარჯვეს. გმირებად გამოიჩინეს თავი იტალიელმა პარტიზანმა კომუნისტებმა და საბჭოთა მებრძოლებმა. ტყვედ ჩავარდნილი ჩვენი ამხანაგების უმრავლესობამ თავისუფლება მოიპოვა. გარიბალდიელებს არ შეურცხვენიათ თავიანთი დროშის ღირსება, იტალიის თავისუფლებისათვის იბრძოდნენ ისე, როგორც ჭეშმარიტ პატრიოტებს შეჰფერის. ბევრი ჩვენი საუკეთესო ამხანაგი და მეგობარი იტალიელი დაეცა გმირის სიკვდილით ამ ბრძოლის დროს. მოგმართავთ მოწოდებით: პარტიზანო იტალიელებო! მაგრად გეჭიროთ ხელში იარაღი, ერთი წუთითაც ნუ შეწყვეტთ ბრძოლას ჰიტლერელი დამპყრობლებისა და მოღალატეების — ფაშისტების წინააღმდეგ. მუდამ მზად იყავით დაიცვათ თქვენი სამშობლოს ღირსება შინაური და გარეშე მტრისაგან! მაღლა გეჭიროთ თავისუფლების წითელი დროშა! წინ — გამარჯვებისაკენ!

ივანე ეგოროვი,

ვიტორიო სინეგალიას სახელობის გარიბალდიელთა ბრიგადის შემადგენლობაში შემავალი საბჭოთა რაზმის პოლიტიკური კომისარი.

ეგოროვის წერილი გარიბალდის ბრიგადის ყოფილი პოლიტიკური კომისრის ჯანინი უნგრელის პირად არქივში ინახება. ამ კაცს შევხვდი მის ბინაზე, ქალაქ ფლორენციის განაპირა უბანში. პატარა ოთახში შეკრებილი იყვნენ ჯანინის მებრძოლი თანამოსაგრენი პარტიზანულ ომში, მათ შორის გარიბალდიელთა დივიზია „პოტენტეს" მეთაურის ყოფილი მოადგილე ლუიჯი კარაბალიო. იტალიელი მეგობრები ერთობლივად მუშაობენ პარტიზანულ ომზე მოგონებათა წიგნის დასაწერად, სადაც ცენტრალურ ადგილს დაიკავებს თავები, რომლებიც მიძღვნილია საბჭოთა ადამიანების როლისადმი იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ისტორიაში. მე ვთხოვე დაწვრილებით ეამბნათ ლეიტენანტ ჯოვანიზე, რომლის შესახებ სხვა იტალიელი პარტიზანებისაგანაც მსმენია.

— ჩვენს ბრიგადაში — მიამბობს ჯანინი, — საბჭოთა ადამიანების რაზმი დაახლოებით 20 კაცს შეადგენდა. რაზმს სათავეში ედგა მფრინავი, საბჭოთა არმიის ლეიტენანტი, რომელსაც ჩვენ ჯოვანის ვეძახდით. რამდენადაც მახსოვს, იგი ჰიტლერელებს ტყვედ ჩაეგდოთ ვოლგოგრადთან 1943 წელს. რაზმის პოლიტიკური კომისარი იყო ივანე ეგოროვი, მუსიკის მასწავლებელი კიევიდან. მათ შესახებ მხოლოდ ეს მცირეოდენი მონაცემები ვიცით, იმიტომ რომ იმ დროს კონსპირაციის მოსაზრებებით ყველანი პარტიზანულ მეტსახელებს ვატარებდით.

კიდევ რა შემიძლია ვთქვა ჯოვანიზე? ეს იყო შუა ტანის კარგად მოყვანილი ქერა ჭაბუკი, დიდი კულტურის ადამიანი. შესაძლოა ფრონტზე უნივერსიტეტიდან მოხვდა. ყოველ შემთხვევაში ამას გვაფიქრებინებდა ის, რომ მან ბრწყინვალედ იცოდა უცხო ენები — გერმანული და იტალიური. ამ ადამიანზე კიდევ მინდა ვთქვა შემდეგი: ეს იყო არა მარტო დიდად კულტურული და მცოდნე მეთაური, რომლის ავტორიტეტს ყველა რუსი პარტიზანი აღიარებდა. ეს იყო აგრეთვე პოლიტიკური წინამძღოლი, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა საერთაშორისო და იტალიის საშინაო პოლიტიკური სიტუაციის დეტალებში. ლეიტენანტი ჯოვანი ნამდვილად კაცური კაცი იყო. პირველი შეხვედრისთანავე ყველანი მოგვინადირა თავისი მომხიბლაობით, თავისი ჰუმანიზმით. უნდა ვთქვა, რომ სწორედ თავისი განსაკუთრებული თვისებების გამო ლეიტენანტმა ჯოვანიმ შეძლო მნიშვნელოვანი ორგანიზაციული წვლილი შეეტანა ჩვენი ოლქის პარტიზანული მოძრაობის განმტკიცებაში. როგორც უკვე იცით ეგოროვის წერილიდან, ლეიტენანტი ჯოვანი ხელმძღვანელობდა თავისი რაზმის მოქმედებას 1944 წლის 20 ივნისის ბრძოლებში, როცა ათობით იტალიელი გაჭირვებაში ჩავარდა. ამ ოპერაციის დროს ჯოვანი დაიღუპა როგორც გმირი: იგი თავისი რაზმით გაეშურა იტალიელი პარტიზანების დასახმარებლად.

ეს მოხდა განთიადისას. გერმანელებმა მოულოდნელად მიიტანეს იერიში ჩვენების ჯგუფზე, დაახლოებით 60-70 კაცზე, რომლებიც დაბა პიანდალბეროში იყვნენ თავშეფარებულნი. თითქმის არც ერთ მათგანს იარაღი არ ჰქონდა, ვინაიდან ახალი მოსული იყვნენ ჩვენთან. იარაღი ჰქონდა მხოლოდ რამდენიმე გუშაგს, რომლებიც იცავდნენ სახლს, სადაც დანარჩენები მოთავსდნენ.

კოკისპირულად წვიმდა. ისე ბნელოდა, რომ თვალში თითს ვერ მიიტანდი. ჰიტლერელებმა მოახერხეს შეუმჩნევლად მისულიყვნენ ზედ სახლთან. გუშაგები მოხსნეს და ტყვედ ჩაიგდეს ყველა ჩვენი ამხანაგი. გერმანელების მიერ ატეხილი სროლა პირველმა გაიგონეს საბჭოთა მეგობრებმა, რომლებიც დაუყოვნებლივ მიეშველნენ ჩვენებს, არ მოერიდნენ იმას, რომ მტერი ბევრად აღემატებოდა მათ რიცხვით. გააფთრებულ შეტაკებაში ლეიტენანტი ჯოვანი დაიღუპა და ივანე ეგოროვი მძიმედ დაიჭრა. მაგრამ იერიშს წარმატება მოჰყვა: ჩვენი ამხანაგების ნაწილი ჯოვანის რაზმის მამაცობისა და თავგანწირვის მეოხებით განთავისუფლებულ იქნა. საბჭოთა ამხანაგებმა თუმცა თავიანთი მეთაური და კომისარი დაკარგეს, მაგრამ ბრძოლის ველი არ დაუტოვებიათ და ფაშისტებთან ბრძოლას განაგრძობდნენ მანამდე, სანამ მტრის მიერ ტყვედ ჩაგდებული პარტიზანები თითქმის ყველანი არ გაათავისუფლეს.

...მებრძოლ მეგობრებს პარტიზანული ეპოპეის სულ ახალი და ახალი დეტალები აგონდებათ. ჩვენი საუბრის დასასრულს ლუიჯი კარაბალიო გვთხოვს გულითადი სალამი გადავცეთ ყველა საბჭოთა მეომარს, ყველა საბჭოთა ადამიანს, რომლებიც ევროპის სხვა ქვეყნებში იბრძოდნენ ჰიტლერელებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ.

— ვუსურვებ მათ, — ამბობს იგი, — რომ მსოფლიოში მუდამ იყოს სიმშვიდე, მეგობრობა და გულითადობა ხალხებს შორის, რომლებმაც სძლიეს ფაშისტურ ბარბაროსობას.

ი. გოჩაროვი.

ფლორენცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ა. მერესიევი—ქუთაისელ მოსწავლეთა მეგობარი

ქუთაისი. (საკ. კორ.). როცა ქალაქის № 2 სკოლა-ინტერნატის რუსული ლიტერატურის შემსწავლელმა წრემ (ხელმძღვანელი მ. ბოჭორიშვილი) ბ. პოლევოის წიგნი — „ამბავი ნამდვილი ადამიანისა" კითხვა-განხილვა მოაწყო, მოსწავლეებმა გადაწყვიტეს მიწერ-მოწერა დაემყარებინათ ამ წიგნის მთავარ გმირთან, სახელგანთქმულ მფრინავ ა. მერესიევთან.

წრის წევრებმა დახმარებისათვის გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" რედაქციას მიმართეს. მალე მათ გმირისაგან წერილი მიიღეს, რომელშიც იგი მადლობას უთვლიდა მოსწავლეებს გულისხმიერებისა და ყურადღებისათვის.

საახალწლოდ მოსწავლეებმა ა. მერესიევს ამანათი, საბჭოთა საქართველოს ალბომი, წრის წევრთა ფოტოსურათი და მილოცვის წერილი გაუგზავნეს.

ამ დღეებში სამამულო ომის გმირისაგან მიიღეს ფოტოსურათი, მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის ხედების ალბომი და წერილი.

„სამამულო ომი რომ დამთავრდა, — წერს წერილში ა. მერესიევი, — გადავწყვიტე სხვა რომელიმე პროფესიას დავუფლებოდი. ამ მიზნით ბევრს ვსწავლობდი, დავამთავრე ორი უმაღლესი სასწავლებელი, გავხდი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი. ამჟამად ვმუშაობ ომის ვეტერანების საბჭოთა კომიტეტში, რომელიც ყოფილ მეომართა ძალებს აერთიანებს იმისათვის, რომ აღარ დავუშვათ ახალი ომი. ხშირად ვხვდები ჩემს მეგობარს ბორის პოლევოის.

გისურვებთ წარმატებებს შრომასა და სწავლაში".

სახელმოხვეჭილი კვარტეტი

საქართველოს დედაქალაქის მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ გულთბილად აღნიშნა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის, რესპუბლიკის დამსახურებული კოლექტივის საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის შემოქმედებითი მოღვაწეობის 20 წლისთავი. კვარტეტის შემადგენლობაში არიან ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბორის ჭიაურელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ალექსანდრე ბეგალიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გივი ხატიაშვილი და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გიორგი ბარნაბიშვილი.

11 მარტს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საიუბილეო საღამო. მუსიკათმცოდნემ ე. მაჭავარიანმა ილაპარაკა კვარტეტის შემოქმედებითს გზაზე. კონცერტში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტმა ნ. დიმიტრიადიმ. (საქდესი).

•

საინტერესო ამბების სამყაროში

ნოვგოროდის გათხრები

XII საუკუნის ნოვგოროდის არქიტექტურულ სახეს აღადგენენ საბჭოთა არქეოლოგები. ექსპედიციამ, რომელმაც გამოიკვლია კულტურული ფენა ერთ ჰექტარ ფართობზე, აქ აღმოაჩინა ყოფა-ცხოვრების მრავალი სხვადასხვა საგანი — ავეჯი, ფეხსაცმელი, იარაღი, საბავშვო სათამაშოები, ბევრი ხის სახლი, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ ხუთამდე გვირგვინი, კარნიზების, სახურავების, ფანჯრის ჩარჩოების ნარჩენები. გათხრილია ხეფენილების 32 ფენა. მათ შორის ყველაზე ადრეული თარიღდება 953 წლით.

ნაპოვნი ადასტურებს სპეციალისტთა აზრს, რომ მშენებლობით, ყოფა-ცხოვრებით, კულტურით და წიგნიერებით უძველესი ნოვგოროდი არ ჩამოუვარდებოდა იმ დროის ევროპის ქალაქებს.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ნოვგოროდის არქეოლოგიურ ექსპედიციას ბედმა გაუღიმა: ჩვეულებრივად ჩვენს დრომდე აღწევს მე-10-12 საუკუნეებში გაკეთებული ორგანული შედგენილობის საგნების სულ დიდი ხუთი პროცენტი. ნოვგოროდში იპოვეს ბევრი ხის საგანი, ძვლის ნაკეთობანი. (საკდესი).

ს. ყუბანეიშვილი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების გამგემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა სოლომონ ილიას-ძე ყუბანეიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის გაერთიანებულ ღია სხდომაზე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„ქართველი პოეტები მეთვრამეტე საუკუნის უკრაინაში".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ს. ყუბანეიშვილისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

მკითხველის კალმით

☐ საჩხერეში შეიქმნა მშობელთა უნივერსიტეტი, რომელსაც აქვს სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის ფაკულტეტები.

უნივერსიტეტში 150-მდე მსმენელია გაერთიანებული.

პ. ასანიძე.

☐ სულ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება ქალაქი წულუკიძე. ამ დღეებში აქ დაამთავრეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს ქალაქის ახალი ელექტროგაყვანილობა. ახლა ქალაქის ცენტრალური მოედანი, მისი ცენტრალური ქუჩები განათებულია.

ა. მერკვილაძე.

☐ ტყვარჩელის კულტურის სასახლეში მაღაროელებმა, ენერგეტიკოსებმა და მშენებლებმა შეხვედრა მოუწყეს მსოფლიოს ჩემპიონს ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილს. მან მსმენელებს მოუთხრო ჰასტინგსის საჭადრაკო ტურნირზე, შეხვედრებზე ისლანდიაში. დასასრულ ნონა გაფრინდაშვილმა 21 დაფაზე გამართა ერთდროული თამაშის სეანსი. ნონამ 14 პარტია მოიგო, 6 ფრედ დაამთავრა და ერთი წააგო.

პლ. ბარქაია.

ფეიქართა დასვენება

ყოველწლიურად ასობით გორელი ფეიქარი ისვენებს და მკურნალობს პროფკავშირული საგზურებით ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო კურორტებზე.

გასულ წელს პროფკავშირული საგზურებით 350-ზე მეტმა კაცმა დაისვენა.

ფეიქართათვის ჯანმრთელობის აღდგენის საუკეთესო კერაა აგრეთვე კომბინატთან არსებული ღამის სანატორიუმები. აქ წელს უკვე იყო 50 ფეიქარი.

ამჟამად წყალტუბოში მკურნალობს მეორე საქსოვი ფაბრიკის ქველოსტატი შ. ფირცხალავა, რესპუბლიკის სხვადასხვა კურორტებზე კუთვნილ შვებულებას ატარებენ ფეიქრები ვ. გლუხოვა, მ. აკოფოვა, გ. გალზიგოვა, გ. კილარიოვა და სხვ.

ა. ტაბატაძე.

•

კასპის მარკით საზღვარგარეთ

კასპი. (საკ. კორ.). ელექტროაპარატურის ქარხნის პროდუქცია ყოველთვიურად იგზავნება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მარტო თებერვალში აქ დამზადებული „ბნ" და „ბუ" მარკის მაგნიტური სადგურები გაიგზავნა ბულგარეთში, უნგრეთში, რუმინეთში, ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში.

პრემიერა—„ვინ შეკაზმავს ცხენს"

16 მარტს კინოფილმების გამქირავებელი საქართველოს რესპუბლიკური კანტორა თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ცხაკაიას, ახალციხის, გურჯაანის, გორის ეკრანებზე უშვებს კინოსტუდია „ქართული ფილმის" ახალ მხატვრულ კინოსურათს „ვინ შეკაზმავს ცხენს".

ფილმის სცენარის ავტორები არიან ი. თარბა, ა. ვიტენზონი, დამდგმელი-რეჟისორი — შ. მანაგაძე, ოპერატორი — ფ. ვისოცკი, ფილმის მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის კომპოზიტორ რ. ლოლაძეს.

მთავარ როლებში მონაწილეობენ: კოტე დაუშვილი, გია ნიკოლაიშვილი, მანანა მანაგაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, დალი ლოლელიანი, სოსო გოგიჩაიშვილი.

16 მარტს საღამოს 8 საათზე თბილისის რუსთაველის სახელობის კინოთეატრში გაიმართება ფილმის პრემიერა.

მამაცი მონადირენი

მტაცებელი ცხოველები ყოველთვის დიდ საფრთხეს უქმნიან სოფელ ლაილაშის (ცაგერის რაიონი) როგორც კოლმეურნეობის ფერმებს, ისე მოსახლეობას.

საკოლმეურნეო პირუტყვის დაცვის მიზნით ჩვენი სოფლის მცხოვრებნი ნ. გოქაძე, დ. თვარაძე, ნ. ჩაჩხიანი სანადიროდ მოემზადნენ და გოგიშის მთისაკენ გაეშურნენ.

მონადირეებმა ბეჩოში მოუსწრეს დათვებს. ძაღლები აწყდებოდნენ ბეჩოს. უცებ გამოჩნდა ძუ დათვი, რომელმაც სცადა შებრძოლებოდა მონადირეებს. ნ. გოქაძე არ დაიბნა, თოფი ესროლა მხეცს და უსულოდ დასცა.

მოსალოდნელი იყო, რომ ძუ დათვთან ერთად სხვებიც იქნებოდნენ. ამიტომ მონადირეებმა ბეჩოს უკანა მხრიდან სროლა ატეხეს. ორი დათვი ბეჩოდან გამოვიდა. დ. თვარაძემ და ნ. ჩაჩხიანმა ისინიც დახოცეს.

ნ. სვანიძე.

სასკოლო არდადეგები

დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში 1964 წლის 23 მარტს, ორშაბათს, გაკვეთილების შემდეგ შეწყდება მეცადინეობა და დაიწყება საგაზაფხულო არდადეგები, რომელიც გაგრძელდება 1 აპრილამდე. მეცადინეობა განახლდება 1 აპრილს, ოთხშაბათს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ დასაშვებად ცნო საგაზაფხულო არდადეგების ვადების შეცვლა სოფლის რაიონებში, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, ხელმძღვანელ ორგანოებთან შეთანხმებით. ვადების შესაძლო შეცვლამ არ უნდა დაარღვიოს არდადეგების საერთო ხანგრძლივობა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განმარტებით დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოოსწავლებიანი სკოლის მოსწავლეთა ცოდნისა და ყოფაქცევის შეფასებისას ხუთბალიანი ციფრობრივი სისტემის გამოყენების შესახებ ინსტრუქციაში წელს ცვლილებები არ არის შეტანილი და ამ ინსტრუქციის IV თავის მე-13 მუხლი ძალაშია, ე. ი. წლიური ნიშანი „3" დაიწერება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეს ყველა მეოთხედში აქვს ნიშანი „3", ან აქვს ერთი ან ორი „2", მაგრამ არა ბოლო მეოთხედში. მაგალითად, მოსწავლეს, რომელსაც საგანში მეოთხედების მიხედვით აქვს „3", „2", „2", „3" ან „2", „3", „2", „3" — შეიძლება დაეწეროს „3", მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როცა მოსწავლეს აქვს „3", „3", „3", „2" ან „2", „2", „2", „3"—მას დაეწერება „2".

კომუნისტი სპორტი

ზონალურ ტურნირზე

პროფკავშირთა ზონალურ საჭადრაკო ტურნირზე, რომელიც თბილისში მიმდინარეობს, 11 მარტს გათამაშდა 4 ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. საერთაშორისო ოსტატმა ტ. ილივიცკიმ (სვერდლოვსკი) მოუგო ოსტატობის კანდიდატს ა. ოსტროვსკის (დონის როსტოვი), ოსტატობის კანდიდატმა ვ. ჩერნიხმა (მოსკოვი), — ოსტატ მ. შიშოვს, ოსტატმა ვ. ჟურავლიოვმა (პერმი) — ოსტატ ვ. ზახარიანს (ერევანი). ყაიმზე შეთანხმდნენ ოსტატობის კანდიდატები ი. კოგანი (მოსკოვი) — თ. გიორგაძე (თბილისი), ა. ოსტროვსკი — ჰ. არნშტეინი.

გუშინ შედგა მეხუთე ტური. ვ. ჟურავლიოვმა მოუგო თ. ლომაიას, ი. იაკოვლევმა — თ. გიორგაძეს, ა. ოსტროვსკიმ — ვ. ჩერნიხს, ა. არუთინიანმა — გ. ილივიცკის. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ხუთი ტურის შემდეგ წინ არის ვ. ჩერნიხი (მოსკოვი), რომელსაც 3 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

◇

«სპარტაკის» ტურნე ბულგარეთში

მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელთა კოლექტივი წარმატებით განაგრძობს ტურნეს ბულგარეთში. მორიგი მატჩი, რიცხვით მესამე სპარტაკელებს ჰქონდათ სოფიაში ცნობილ საკლუბო გუნდ „ლევსკისთან". საბჭოთა ფეხბურთელებმა ბრძოლა აღმავლობით ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. გოლების ავტორები იყვნენ აბდურაიმოვი (11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა) და ფალინი.

ამრიგად, დედაქალაქის სპარტაკელებმა ბულგარეთში გამართული სამი მატჩიდან სამივე მოიგეს.

•

დაუმარცხებელი სამეული

მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთში ვაჟთა გუნდებისათვის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა.

რუმინეთის გუნდმა ნახევარფინალის პირველ მატჩში მოუგო დანიის ხელბურთელთა კოლექტივს ანგარიშით 25:15. შვედებმა დაამარცხეს იუგოსლავიის გუნდი 23:18.

ამრიგად, ჩემპიონატში სამი კოლექტივი იბრძვის დაუმარცხებლად. ესენი არიან — რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის გუნდები.

სსრ კავშირის გუნდს, რომელსაც უკვე 4 ქულა აქვს დაკარგული, უკეთეს შემთხვევაში მეხუთე ადგილისათვის შეუძლია ბრძოლა.

საკონტროლო მატჩები

ლესელიძე. 12 მარტი (ტელეფონით საკ. კორ.). დღეს აქ შედგა საკონტროლო მატჩი ფეხბურთში თბილისის „დინამოსა" და როსტოვის სკა-ს შორის. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც კოპაევმა დინამოელთა კარში გაიტანა.

თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში იყვნენ: რუხაძე, ცხოვრებოვი, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, პეტრიაშვილი, გ. სიჭინავა, მეტრეველი, ბარქაია, აფშევი, იამანიძე, მესხი.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა მატჩის შედეგია ფრე — 2:2.

სოხუმი. 12 მარტი (ტელეფონით საკ. კორ.). აქ საკონტროლო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა-სა და ერევნის „არარატის" გუნდები. გაიმარჯვეს ერევნელებმა 3:2. ამ კოლექტივების დუბლშემადგენლობათა შეხვედრის შედეგია 5:1 ცსკა-ს სასარგებლოდ.

კომუნისტის მუშსოფლკორთა კაბინეტი

14 მარტს დღის 3 საათზე, გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია ქალაქ ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში აწყობს კომბინატის მუშკორთა და ძირეული პრესის მუშაკთა თათბირს თემაზე: „დიდი ქიმია და ძირეული პრესის ამოცანები".

ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლოებანი

მედიცინა და პრაქტიკა

გრიგოლ ფიცხელაური,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

როცა ფრანგმა ჟურნალისტმა ჟილბერ ბლოკმა, მასალებს რომ აგროვებდა წიგნისათვის „ჩვენ 150 წელს ვიცოცხლებთ", მკითხა, რა უწყობს ხელს ქართველ მოხუცთა ხანგრძლივ სიცოცხლესო, მე შრომა დავუსახელე.

შესაძლისი შრომა, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა, რაც სიცოცხლის აღქმის ხალისსა და ყველაფრისადმი ინტერესს აღვივებს, სიცოცხლის გახანგრძლივების ხელშემწყობი მართლაც ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ამის მაგალითი შეიძლება იყოს საქართველოს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ზემო ბედიის მცხოვრები მოხუცები. მიუხედავად დიდი ხანდაზმულობისა, მათ შექმნეს ეგრეთწოდებული „უხუცესთა საბჭო" და აქტიურად მონაწილეობენ კოლმეურნეობის ცხოვრებაში.

ჟილბერ ბლოკი ეწვია ამ სოფელს, და არანაკლებ, ვიდრე განთქმულმა ქართულმა სტუმართმოყვარეობამ, გააოცა იგი უხუცესთა საბჭოს ნაყოფიერმა საქმიანობამ. ეს საბჭო, ცხოვრების მრავალი წლის გამოცდილებით გამობრძმედილი კოლექტიური მრჩეველი, დიდ დახმარებას უწევს კოლმეურნეობის ახალგაზრდა თავმჯდომარეს.

საქართველო სამართლიანად ითვლება ხანდაზმულთა ქვეყნად. რესპუბლიკაში ცხოვრობს 80 წლისა და მეტი ასაკის 62 ათასამდე კაცი. ხანდაზმულთა უმრავლესობას ქალები შეადგენენ, მამაკაცები მხოლოდ ერთი მესამედია. ქალთა სიცოცხლის ხანგრძლივობა მეტია, ვიდრე მამაკაცებისა, იმიტომ რომ ისინი ნაკლებად იწამლებიან ალკოჰოლითა და ნიკოტინით.

საქართველოში ორი ათასზე მეტია 100 წლისა და მეტი ასაკის კაცი, მაშინ როცა ეკონომიურად განვითარებულ ისეთ ქვეყნებში, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, ასი წლისანი მხოლოდ 2000 კაცია, ინგლისში — 301, საფრანგეთში — 261, ხოლო იაპონიაში — 97 კაცი.

ხანდაზმულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების შესწავლამ შესაძლებელი გახადა გამოგვერკვია მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ხანგრძლივ სიცოცხლეს. ჩვენს ლაბორატორიაში შემუშავებულია გერონტოლოგიური რუკა კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით.

რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში მცხოვრებ ხანდაზმულთა რაოდენობის შედარებისას შევამჩნიეთ, რომ ყველაზე მეტი ხანდაზმული ცხოვრობს იმ რაიონებში, რომლებიც მდებარეობენ შუა სიმაღლეებზე — ზღვის დონიდან 1500 მეტრამდე სიმაღლეებზე, კავკასიონის მთავარი ქედის დასავლეთ და აღმოსავლეთ ფერდობებზე და მათ მიმდებარე ზეგნებზე, კოლხეთის დაბლობის მეტ ნაწილზე.

საგულისხმოა, რომ თითქმის ყველა მათგანი ოჯახიანია, ორმოცდაათი-ოთხმოცი წლის წინათ დაქორწინებულან.

ხანდაზმულებს ბევრი შვილი, შვილიშვილები, შვილიშვილთა შვილები ჰყავთ. მაგალითად, ხულოს რაიონის სოფელ გუდასახოში ცხოვრობს 115 წლის კოლმეურნე რეჯებ ჭამადაძე. მას 7 შვილი ჰყავს — ქალები და ვაჟები, მთელი მისი ოჯახი კი 96 კაცისაგან შედგება და სოფელში 11 კომლად ცხოვრობს.

ყაზბეგის რაიონის სოფელ განისში ცხოვრობს 103 წლის სოფიო რუხაევა, იგი 13 შვილის დედაა. ბორჯომში მცხოვრები სოფიო გოგოლაძე დაახლოებით 100 წლისაა, მას 11 შვილი ჰყავს.

მშვიდი ოჯახური ცხოვრება შვილებსა და მახლობლებში, კარგი მოვლა, პირადი ჰიგიენის დაცვა ეხმარება ხანდაზმულებს შეინარჩუნონ მორალური და ფიზიკური ძალები, ხელს უწყობს მათს ჯანმრთელობას.

ზოგი გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ხანგრძლივი სიცოცხლისათვის მთავარია დასვენება, უსაქმურობა. მაგრამ მეცნიერული კვლევა და მრავალი ფაქტი მოწმობს, რომ არც ერთ ზარმაცს ღრმად მოხუცობამდე არ მიუღწევია.

საქართველოში ხანდაზმულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა ცხადყოფს, რომ მათი უდიდესი უმრავლესობა არასოდეს არაფრით ავად არ ყოფილა, ბევრი მათგანი პირველად მხოლოდ გამოკვლევის პერიოდში ეჩვენა ექიმს. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ისინი შესაძლის შრომას ეწევიან: კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ჩაის პლანტაციებში მუშაობენ, პირუტყვსა და ფრინველს უვლიან, ნადირობა უყვართ. მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მხატვრულ თვითმოქმედებაში.

აი რამდენიმე მაგალითი. სოფელ ლიხნის კოლმეურნე ა. ხ. ფილია 122 წლისაა. კოლმეურნეობაში მეწისქვილედ მუშაობს. დაჯილდოებულია სიგელით, როგორც მოხუცთა გუნდის მონაწილე.

ზუგდიდის რაიონის სოფელ მედინის ერთ-ერთ ჩაის პლანტაციაში შრომობს ეფრო მიქავა. იგი 93 წლისაა. უკვე დიდი ხანია პენსიაზეა, მაგრამ არ აპირებს დატოვოს პლანტაცია, სადაც თავისი ხელით დაურგავს ჩაის პირველი ბუჩქი.

ამ სოფელში 65 წელს გადაცილებული 128 კაცი ცხოვრობს. ბევრმა მათგანმა 80 წელს გადააბიჯა. მიუხედავად საკმარისი პენსიისა, ისინი უარს არ ამბობენ შესაძლის შრომაზე.

მეტ წილ მოხუცებს კარგად შეუნარჩუნებიათ ნერვული სისტემა, მეხსიერება. მათ ჩინებულად ახსოვთ შორეული წარსულის ამბები, ნორმალური მხედველობა და სმენა აქვთ.

ყურადღების ღირსია ხანდაზმულთა კვების რეჟიმი. როგორც წესი, ისინი დღეში 3-4-ჯერ ჭამენ გარკვეულ საათებში და არასოდეს არ ჭამენ ზედმეტს. იკვებებიან უმთავრესად შერეული საჭმლით. ბევრს უყვარს ცხარე სანელებლები, რაც ზრდის მადას და აუმჯობესებს ეროვნული კერძების გემოს. ზოგიერთ მოხუცს მიაჩნია, რომ ხილის, ყურძნის, თაფლის, ბოსტნეულის დიდი რაოდენობით მოხმარებამ შეუწყო ხელი მათი ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

შემჩნეულია, რომ საქართველოში ის ხანდაზმულნი, რომლებიც ბევრს ხილსა და ბოსტნეულს იღებენ საჭმელში, უფრო ნაკლებად ავადდებიან ათეროსკლეროზით, ვიდრე ის ადამიანები, რომელთა საჭმელიც ამ პროდუქტებით ღარიბია.

უეჭველია, ხანგრძლივ სიცოცხლეს ხელს უწყობს საქართველოს ბუნებრივი პირობებიც — შესანიშნავი ჰავა, მზის რადიაცია, აეროიონიზაცია.

ჩვენი დაკვირვება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ყოველ ადამიანს შეუძლია შეაფერხოს დაბერების პროცესი და მრავალი წლით გაიხანგრძლივოს სიცოცხლე.

ხანგრძლივად სიცოცხლისათვის ზრუნვას უნდა ვიწყებდეთ არა ორმოცდაათი-სამოცი წლიდან, არამედ ბავშვის დაბადების მომენტიდან და მის დაბადებამდეც კი, ვინაიდან ბავშვობის ასაკის ავადმყოფობანი მთელ სიცოცხლეში ტოვებენ კვალს.

ნაადრევი სიბერის დადგომა დაკავშირებულია ნერვული სისტემის ნორმალური ფუნქციის დარღვევასთან. ნერვული სისტემის გამოფიტვა იწვევს ორგანიზმის რეაქციის უნარის შესუსტებას, სხვადასხვა ორგანოს დაავადებებს, რის შედეგადაც კლებულობს ნივთიერებათა ცვლა, იწყება უჯრედებისა და ქსოვილების თანდათანობით ჭკნობა, ირღვევა უჯრედების თვითგანახლების პროცესი. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ვუფრთხილდებოდეთ, ვიმაგრებდეთ ნერვულ სისტემას, ვიცავდეთ მის მაღალ ტონუსს.

სპეციალობის მიხედვით საყვარელი სამუშაო სიცოცხლის დიდმნიშვნელოვანი სტიმულია. მაგრამ ის კი არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, თუ რა პროფესია აქვს ადამიანს, არამედ ის, თუ როგორ ეკიდება ადამიანი თავის მუშაობას.

მუშაობის უნარის ხანგრძლივად შენარჩუნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ რეჟიმს, დღის რაციონალურ განწესრიგებას, შრომისა და დასვენების, ძილის, კვების რეგულარულ ურთიერთშენაცვლებას. დიდი დაქანცვის გამომწვევი მუშაობა ძირს უთხრის ჯანმრთელობას, აჩქარებს სიბერის დადგომას. მცდარია ის აზრი, თითქოს ინჟინრის, ექიმის, პედაგოგის და მით უმეტეს, მწერლის, მხატვრის, კომპოზიტორის შრომა როგორც უაღრესად შემოქმედებითი და ინდივიდუალური, არ შეიძლება ორგანიზებულ იქნას და დაიგეგმოს, მთლიანად დამოკიდებულია შთაგონებაზე. გამოჩენილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, რომლებსაც საზოგადოების ცხოვრებაში შესამჩნევი კვალი დაუტოვებიათ, ყოველთვის იცავდნენ სიცოცხლის მრავალი წლის მანძილზე გამომუშავებულ რეჟიმს, გარკვეულ დროს შრომობდნენ, ისვენებდნენ და ეძინათ.

ფიზკულტურა და სპორტი, ბაღში ან ბოსტანში მუშაობა, ექსკურსიები, ტურიზმი, ნადირობა, თევზაობა, სუფთა ჰაერზე სეირნობა დასვენების საუკეთესო სახეებია, მეტადრე გონებრივი შრომის ადამიანისათვის.

დასვენების ძირითადი და ყველაზე სრულფასოვანი ფორმაა ძილი. დაძაბული გონებრივი შრომის ადამიანთა ძილის პერიოდი უფრო ხანგრძლივი უნდა იყოს.

ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წესიერად კვებას და საჭმლის მონელებას. არ ვარგა მუშაობის დაწყება უზმოზე. უნდა ვერიდებოდეთ მეტ წილად ხორციელ საჭმელს, სჯობს ნარევი, რძისა და მცენარეულის საჭმელი, ზომიერი რაოდენობით.

ძველ რომში 112 წლის მოხუცის საფლავზე დადგმულ ძეგლს ლაკონიური წარწერა ჰქონდა, იგი ზომიერად ჭამდა და სვამდაო.

ღვინისა და მაგარ სასმელების ზომაზე მეტად ხმარება ასუსტებს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს, იწვევს სხვადასხვა დაავადებას. გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ორგანიზმს თამბაქოს წევა.

ფიზკულტურა ხანშიშესულობისას, შეიძლება ითქვას კიდევ უფრო საჭიროა, ვიდრე ახალგაზრდობისას.

უკანასკნელ ხანს მიღებულია სამკურნალო საშუალებანი, რომლებიც ხელს უწყობენ დაბერების განვითარების თავიდან აცილებას და მთელი ორგანიზმის საერთო ტონუსის გაძლიერებას. ასეთებია ნოვოკაინი, რუმინული პრეპარატი გეროვიტალი, უნგრული გეროვიტი და სხვ.

გეროვიტალის ეფექტურობაში დავრწმუნდით, როცა ბუქარესტში ვიყავით გერიატრის ინსტიტუტში, პროფესორ ანა ასლანთან. სიბერის საწინააღმდეგო წამლებს შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ აგრეთვე ვიტამინებსა და ჰორმონებს.

მაგრამ მათი ხმარება შეიძლება მხოლოდ ექიმის დანიშვნით და მისი კონტროლით, ჯანსაღი ცხოვრების საერთო წესების დაცვასთან ერთად.

თვითეულ ჩვენგანს შეუძლია იბრძოდეს და უნდა იბრძოდეს თავისი სიცოცხლის გახანგრძლივებისა და შრომის უნარიანობის შენარჩუნებისათვის.

• • •

ამბროლაურის რაიონის სოფელ ხვანჭკარაში კარგად იცნობენ კოლმეურნეობის ერთ-ერთ უხუცეს მევენახეს ვლადიმერ ჭარბაძეს.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი ძველებურად მთელ ძალღონეს ახმარს საყვარელ საქმეს — ასწავლის ახალგაზრდა მევენახეებს განთქმული ხვანჭკარული ვაზის მოვლას.

სურათზე: ვ. ჭარბაძე.

ფოტო ს. კილაძისა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1964 წლისათვის



ასპირანტურაში მიღება წარმოებისაგან მოწყვეტით იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:

თეორიული კიბერნეტიკა, თეორიული ფიზიკა, რადიოფიზიკა, პლაზმის ფიზიკა, ატომბირთვის ფიზიკა, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი.

ასპირანტურაში მიღება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:

თეორიული კიბერნეტიკა, თეორიული ფიზიკა, რადიოფიზიკა, პლაზმის ფიზიკა, ატომბირთვის ფიზიკა, დაბალი ტემპერატურის ფიზიკა, მყარი სხეულის ფიზიკა, გეოფიზიკა, ფილოსოფიის ისტორია, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა, სსრ კავშირის ისტორია, რუსული ლიტერატურა, რუსული ენა, სსრ კავშირის ხალხთა ენები, სტატისტიკა, ფინანსები.

ასპირანტურაში **წარმოებისაგან მოწყვეტით** მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, ხოლო **წარმოებისაგან მოუწყვეტლივ** არაუმეტეს 45 წლის ასაკისა, რომლებსაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი, გამოიჩინეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი და აქვთ არჩეული სამეცნიერო სპეციალობის პროფილით სამეცნიერო, პედაგოგიური ან წარმოებაში მუშაობის სულ მცირე 2 წლის გამოცდილება უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

უშუალოდ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტები ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან მხოლოდ უმაღლეს სასწავლებელთა საბჭოების მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე.

ასპირანტურაში შემსვლელნი საკონკურსო გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში უმაღლეს სასწავლებელთა სასწავლო პროგრამების ფარგლებში.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას უნივერსიტეტის რექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: **1. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით, 2. ნოტარიულად შემოწმებული დიპლომის პირი, 3. ცნობა პრაქტიკული მუშაობის სტაჟის შესახებ ან ამონაწერი რეკომენდაციის შესახებ სამეცნიერო საბჭოს დადგენილებიდან, 4. დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, 5. მოწმობა ფორმა 6 იმ პირებისათვის, ვისაც ჩაბარებული აქვს საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები, 6. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია, ცნობები გამოგონებათა, საცდელ-საკონსტრუქტორო ნაშრომთა შესახებ და დასკვნები მათზე.**

იმ პირებმა, რომლებსაც გამოქვეყნებული შრომები არა აქვთ, სპეციალურ საგანში უნდა წარმოადგინონ სამეცნიერო მოხსენება (რეფერატი).

განცხადებები მიიღება მიმდინარე წლის 25 მარტამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აპრილიდან 10 აპრილამდე.

შენიშვნა: მეცნიერების სხვა დარგებში ასპირანტურაში მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილში.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი № 1.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

13 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აიდა (მე-4 აბონ. მე-5 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — სამგროშიანი ოპერა (მე-20 აბონ. მე-3 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, **მარჯანიშვილის სახელობის** — აურზაური არაფრის გამო (მე-17 აბონ. მე-3 წარმოდგენა).

კინო

13 მარტი

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, საქართველო (წითელი დარბაზი), ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **რა გზასაც უნდა დასდგომოდა**, ამირანი, ისანი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი, საქართველო (მწვანე დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, გაზაფხული, კოსმოსი, ნაკადული — **ველოსიპედების გამომცდელები.**

რადიო

პირველი პროგრამით

14 მარტი

06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.30 — პოპულარული კამერული მუსიკა, 11.15— ქართული საოპერო მუსიკის კონცერტი, 12.10 — გადაცემა ციკლიდან — „ადამიანები, რომელთა მაგალითი მისაბაძია", 12.25 — მსუბუქი მუსიკა, 13.40 — სომხეთის სახელმწიფო გუნდის კონცერტი, 17.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ლურსმანა" (გადაცემა I), 18.10 — მუსიკალური რადიოაფიშა, 18.45 — „მღერის მაია კრისტალინსკაია", 19.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის, რადიონარკვევი — „სიცოცხლის კილომეტრები", 19.45 — ქართული ხალხური საცეკვაოები, 20.15 — „ძილისპირული", 20.30 — მხიარულ ტალღაზე", 21.00 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 21.30 — გადაცემა — „შემოქმედებითი პორტრეტები" — ალექსანდრე ომიაძე, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

ტელევიზია

14 მარტი

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — მოსწავლეთათვის ნახატი ფილმი „ჩხიკვთა ქორწილი", 18.25 — მოსწავლეთათვის საგუნდო მუსიკის კონცერტი, 18.40 — კინონარკვევი „დაუვიწყარი მიწა", 19.05 — გადაცემა „ინერგება წარმოებაში", 19.20 — გადაცემა ციკლიდან „იცით თუ არა", 19.35 — კინონარკვევი „შოთა რუსთაველი" ატლანტიკაში", 19.55 — გადაცემა ციკლიდან „ჩვენი ნაცნობი კინომსახიობები" — ედიშერ მაღალაშვილი, 20.40 — საესტრადო კონცერტი — მიმოხილვა „მესამე ზარის შემდეგ", 22.15 — ახალი ამბები.

ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს კურორტოლოგიის კათედრაზე ასპირანტურაში (1 ადგილი).

კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

საჭირო საბუთები მიიღება ინსტიტუტის რექტორატში (ლუნაჩარსკის ქ. № 12).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი
КОМУНИСТИ
ИНДЕКС 66443

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-98-03 8-08-67 პ/მგ მდივნის — 9-72-80, ხამდივნოს — 8-46-10, განყოფილებებისა: პარტიული 9-87-61, მრეწველობის — 8-20-43, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, უცხოეთის — 8-22-89, სოფლის მეურნეობის—8-82-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების 8-85-01, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

უე 06896

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.